საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.org.ge/lelo

ლელო

№ 100
(11 659)

24 – 26 დეკემბერი, 2002 წ.
ფასი 40 თეთრი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ნომერში წაიკითხავთ:

- გამოთხოვება კოტე მახარაძესთან...
- ახალი თაობის ფეხბურთელები – მურთაზ ბურნაძე
- ევროპის ქვეყნების ეროვნული საფეხბურთო ჩემპიონატები
- რობერტ ფიშერის ამაღლება და დაცემა
- ორი „კ“ 12 წლის შემდეგ დაღბნენ პირისპირ
- ვეებერთელა კროსვორდი...

სეოკ-მა დაასახელა რჩეულები

ტრადიციისამებრ, სეოკ-ის ყოველწლიურ შემაჯამებელ სესიაზე დასახელდნენ სპორტის ოლიმპიურ სახეობებში 2002 წელს საერთაშორისო სარბიელზე თავგამოჩენილი ჩვენი სპორტსმენები და მათი მწვრთნელები. წლეულს ათეული ასე გამოიყურება (გვარები ყველგან დალაგებულია ანბანით).

ელდარ კურტანიძე

10 საუკეთესო სპორტსმენი

ელდარ კურტანიძე (თავისუფალი ჭიდაობა), გიორგი ასანიძე (ძალოსნობა), ზურაბ ზვიადაური (ძიუდო), მანუჩარ კვირკველია (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა), კონსტანტინე კუპატაძე (კრივი), დავით ოთიაშვილი (თავისუფალი ჭიდაობა), ნინო სალუქვაძე (ტყვიით სროლა), დავით ქევხიშვილი (ძიუდო), ბადრი ხასაია (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა), ნესტორ ხერგიანი (ძიუდო).

რობერტ ბაგთიანის ფოტოები

პლუს 9 საუკეთესო

10 საუკეთესო მწვრთნელი

გია გალდავა (თავისუფალი ჭიდაობა), ივანე გრიქუროვი (ძალოსნობა), დამერლანდ (დათო) დავითაია (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა), მერაბ დარჩია (ბერძუნლ-რომაული ჭიდაობა), ზაზა თურმანიძე (თავისუფალი ჭიდაობა), გურამ მაჭარაშვილი (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა), ჯემალ ნათელაშვილი (ძიუდო), ვახტანგ სალუქვაძე (ტყვიით სროლა), ნოდარ ქიქავა (კრივი), შოთა ხაბარელი (ძიუდო).

სეოკ-ის ლაურეატი ჟურნალისტები გახდნენ

ოლიმპიური თემატიკის თანმიმდევრულ და პროფესიულ დონეზე პროპაგანდისათვის სეოკ-მა დააჯილდოვა სამი ჟურნალისტი: თამილა პახიძე (რადიო), ვაჟა დანელია („საქართველოს რესპუბლიკა“) და ზურაბ უსუფაშვილი (რუსთავი-2).

ვულოცავთ!

სეოკ-ის 2002 წლის ლაურეატი „რუსთავი-2“-დან ზურაბ უსუფაშვილი ინტერვიუს იღებს პირველ ოლიმპიურ ქართველ ქალ მზია ჯუღელისაგან

გიორგი კანდელაკის ბრწყინვალე გამარჯვება

კრივის მსოფლიო კავშირის ეგიდით ასპარეზობის დროც დაუდგა ქართველ პროფესიულ მოკრივეს გიორგი კანდელაკს. გასულ შაბათს, სანკტ-პეტერბურგში იგი ამ ვერსიაში უძლიერესის გამოსავლენ მატჩში შეხვდა რუს ალექსანდრე ვასილიევს. ჩვენებურისთვის ეს პაექრობა მძიმე უნდა გამომდგარიყო, რადგან მეტოქე შინ იბრძოდა, თუმცა დარბაზში მეტი გულშემატკივარი, რაოდენ გასაოცარიც უნდა იყოს, კანდელაკს ჰყავდა. ასეთ პრინციპულ შეხვედრაში უპირატესობა ენიჭება არა მხოლოდ ძალას და ტექნიკას, არამედ ტაქტიკასაც, რომელიც ძალებისა და შესაძლებლობების სწორ გათვლასაც გულისხმობს. კანდელაკმა სწორედ გათვალა – ძალები ბოლომდე შემოინახა და მე-12 რაუნდში შესძლო მეტოქეზე გამარჯვება. პროფესიულ რინგზე გიორგი კანდელაკის ეს 23-ე გამარჯვება იყო.

ვულოცავთ!

დაჯილდოება

საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით სპორტული ჟურნალისტიკის განვითარებაში, ოლიმპიური მოძრაობის პოპულარიზაციასა და საქართველოს საუკეთესო სპორტსმენთა წარმოჩენაში შეტანილი პირადი დიდი წვლილისათვის, ნაყოფიერი ჟურნალისტური და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის პრეზიდენტი, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის აღმასკომის წევრი ელგუჯა ბერიშვილი დაჯილდოვდა ღირსების ორდენით.

მილოცვა

საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი დაბადებიდან 50 წლისთავს ულოცავს ცნობილ სპორტულ ჟურნალისტს, საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის პრეზიდენტს, ღირსების ორდენის კავალერს ელგუჯა ბერიშვილს.

გუშინ სპორტის სასახლეში საზეიმოდ გაიხსნა აფხაზეთში ტრაგიკულად დაღუპული ფეხბურთელის ზაზა ბენდელიანის (ბენდელას) თასის XI გათამაშება. ტურნირის ოფიციალური გახსნის ცერემონიაში მონაწილეობა მიიღო, თბილისში, ხანგრძლივი მივლინებიდან დაბრუნებულმა, სფფ-ს პრეზიდენტმა მერაბ ჟორდანიამ.

ძირითადი ტურნირი

A ჯგუფი: დინამო 2, ნაძალადევი, თემქა, კახეთი;
B ჯგუფი: ლოკომოტივი, საბურთალო, თბილისი, ჩიხურა;
C ჯგუფი: გორდა, მაისი, ზოოვეტი, უნივერსიტეტი.

23 დეკემბერი
15.00 ნაძალადევი — კახეთი 2-0
16.00 საბურთალო — ჩიხურა 2-5
17.00 მაისი — უნივერსიტეტი 2-2
18.00 დინამო2 — თემქა 1-2
19.00 გორდა — ზოოვეტი 0-2
20.00 ლოკომოტივი — თბილისი 1-1

დღეს:
15.00 ზოოვეტი — უნივერსიტეტი
16.00 თბილისი — ჩიხურა
17.00 თემქა — კახეთი
18.00 დინამო2 — ნაძალადევი
19.00 გორდა — მაისი
20.00 ლოკომოტივი — საბურთალო

ბენდელას თასი

ხვალ:
15.00 საბურთალო — თბილისი
16.00 ნაძალადევი — თემქა
17.00 მაისი — ზოოვეტი
18.00 დინამო2 — კახეთი
19.00 გორდა — უნივერსიტეტი
20.00 ლოკომოტივი — ჩიხურა

სპონსორები არიან: „მთავარი გაზეთი სპორტი“, „კუს ტბა 21-ე საუკუნე“, „ყაზბეგი“ და ეროვნული ზარაფხანა. მეოთხედფინალები 26 დეკემბერს გაიმართება, 27-ში ნახევარფინალებია, 28-ში ფინალი (15 სთ).

ბავშვთა ტურნირი:

A ჯგუფი: ოლიმპი 2, ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლა, ხობი, დინამო (ქუთაისი);

B ჯგუფი: ავაზა, სპარტაკი, ოლიმპიკი, შევარდენი;

C ჯგუფი: საბურთალო 1, ლუკა (ბათუმი), მემორიალი (ქუთაისი), ნორჩი დინამოელი;

D ჯგუფი: საბურთალო 2, ბათუმი, ოლიმპი 1, ირაო.

22 დეკემბერი
ასს — ხობი 0-1
სპარტაკი — ოლიმპიკი 4-0
ლუკა — მემორიალი 2-1
ბათუმი — ოლიმპი I — 2-3
ავაზა — შევარდენი 0-2
ოლიმპი II — დინამო 6-1
საბურთალო II — ირაო 2-0
საბურთალო I — ნორჩი დინამო 1-0

23 დეკემბერი
ბათუმი — ირაო 6-1
სპარტაკი — შევარდენი. 1-0
ლუკა — ნორჩი დინამო 0-1
ასს — დინამო 0-0
ავაზა — ოლიმპიკი 1-0
ოლიმპი II — ხობი 3-0
საბურთალო II — ოლიმპი I 0-1
საბურთალო I — მემორიალი 6-0.

დღეს საქართველო გამოეთხოვება ლეგენდარულ კომენტატორს კოტე მახარაძეს

ფიქრის გორის მწუხრი

„ბატონი კოტე იყო ღმერთის საჩუქარი“

ნუგზარ ჯუღელი

საყვარელო კაცო, თქვენ
ბატონო კოტე,
მსგავსი თუ გვყოლია,
მხოლოდ ორიოდე.
შენი რეპორტაჟი,
ერთი ნოტით მეტი,
ვიდრე თავად მატჩი.
სულის მღელვარება,
პაექრობის დარი,
აზარტი და ვნება
შენგან ნაჩუქარი!
შენი კომენტარი,
ზოგჯერ სხვა ენაზე,
ხიბლი კოლორიტის
დაგშვენოდა ხმაზე!
სცენის ინტელექტო,
მგრძნობიარე გულით,
დაამებავ სულის
ღვთიურ სიყვარულით!
ნიჭო – საოცარო
მრავალმხრივი ჰობით
ეპოქალურ დონის!
უბრებელ გრძნობით,
სულო სანეტარო,
ღვთისმშობლისწილ ქვეყნის,
ერის საამაყოდ
– ღმერთის საჩუქარო!
ფიქრის გორის ფიფქო,
ქრისტეშობის დარო,
აფეთქებავ გულის
„აისბერგის“ დარო!
სითბოვ საოცარო
– სიტყვის ჯადოქარო!
ფიქრის გორის ფიქრო
– დიდო სატკივარო!
ერთი მსახიობის,
მრავალსახეობის,
სევდა-სიხარულის
უთვალავი გრძნობის!
ფიქრის გორის მწუხრით,
გლოვობს საქართველო!
შენი სიტყვის დარი
– ერთად გასატანი
გვქონდა კიდევ ლელო.

თენგიზ იაშვილი
თბილისი 19.12.2002 წ.

ბატონ კოტე მახარაძის ოჯახს

უდიდესი მწუხარებით შევიტყვეთ ცნობილი მსახიობისა და სპორტული კომენტატორის, უბრწყინვალესი პიროვნების კოტე მახარაძის გარდაცვალების ამბავი. არასდროს დაგვავიწყდება ლონდონში კოტეს და ქალბატონ სოფიკოს სტუმრობა.

მიიღეთ ჩვენი ოჯახის ღრმა სამძიმარი. თქვენთან და მთელ ქართველ ხალხთან ერთად ვგლოვობთ ძვირფასი ადამიანის დაკარგვას.

დიდ ბრიტანეთსა და ჩრდილოეთ ირლანდიაში საქართველოს საელჩო.
დიდ ბრიტანეთსა და ჩრდილოეთ ირლანდიაში საქართველოს ელჩის
თემურ მამაცაშვილის ოჯახი.

იხ. მე-4 გვ.

«ბასკომ» ლიდერს მოუგო

საქართველოს კალათბურთელ ვაჟთა წლევანდელი ეროვნული ჩემპიონატი ქვეყნის ჩემპიონმა ბათუმის „ბასკომ“ არც თუ დამაჯერებლად დაიწყო. აქამდე ჩატარებულ 15 შეხვედრაში ბათუმელებს უკვე სამი დამარცხება აქვთ აქტივში და ცხადია, ერთპიროვნული ლიდერები არ არიან. ამაში ხელი შეუშალა თბილისის „დინამომ“, რომელმაც შემოდგომაზე გულშემატკივრებს შთამბეჭდავი თამაშით დაამახსოვრა თავი. დინამოელები გასულ უქმეებზე ერთპიროვნული ლიდერის რანგში ესტუმრნენ „ბასკოს“. როგორც მოსალოდნელი იყო, თამაში დაძაბულად წარიმართა და დასრულდა „ბასკოს“ გამარჯვებით 80:71.

ამავე ტურში ქუთაისელმა კალათბურთელებმა 62:70 წააგეს სსუ-სთან. სხვა მატჩები: „ქუთაისი“ — „დინამო“ 58:89, „ბასკო“ — სსუ 119:95.

სატურნირო მდგომარეობა:

	თ.	მ.	წ.	სხვ.	ქ.
დინამო	16	13	3	342	29
სტუ	16	13	3	250	29
თსუ	16	12	4	105	28
ბასკო	15	12	3	373	27
აზოტი	16	9	7	11	25
მაკაბი	16	4	12	-208	20
სსუ	16	4	12	-246	20
ქუთაისი	15	4	11	-88	19
აკადემია	16	1	15	-264	17

ATHENS 2004
CANDIDATE CITY

მომავალ ოლიმპიურ თამაშებამდე 1 წელიწადი და 8 თვე დარჩა

torino 2006

ზამთრის მომავალ ოლიმპიურ თამაშებს 3 წელიწადი და 2 თვე გვაშორებს

მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს, საქართველო – ქართულ სპორტს!

იოსებ სტალინი და იაკობ ხვედელიანი ბავშვებს უხარებბათ...

„თბილავიამშენის" სპორტკლუბ „შევარდენის" ი. ხვედელიანის სახელობის, გ. ჩიხრაძის კრივის დარბაზი მასპინძლობდა ნორჩ მოკრივეებს ი. სტალინის და ი. ხვედელიანის ხსოვნასთან დაკავშირებულ ტურნირში, რომლის ინიციატორი და თავკაცი იყო ბ-ნი გ. ჩიხრაძე.

გოგა მიქავა

მთავარი მსაჯი — თბილისის კრივის ფედერაციის მსაჯთა კოლეგიის თავმჯდომარე, საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი ბატონი ვ. ყელიაშვილი.

ტურნირი ჩატარდა სანიმუშოდ. ესწრებოდნენ სპორტკლუბ „შევარდენის" დირექტორი ი. საბიაშვილი, „თბილავიამშენის" გაერთიანებული პროფკავშირების თავმჯდომარე მ. კვირიკაძე, საპატიო სტუმრებად მოწვეული საქართველოს თავდაცვის ეროვნული აკადემიის რექტორი, გენერალ-ლეიტენანტი ომარ ლეკვეიშვილი, ამავე აკადემიის ფიზკულტურის კათედრის გამგე ვიცეპოლკოვნიკი ავთანდილ ჩიხლაძე.

ფინალური ორთაბრძოლების შემდეგ გავესაუბრეთ გ. ჩიხრაძეს. რა იყო ამ ტურნირის მიზანი?

ი. სტალინის და ი. ხვედელიანის ხსოვნის პატივისცემა და მოგონება. თითოეული 30 წელი იყო ხელმძღვანელი.

ფინალურ ბრძოლებში გამარჯვებულები არიან: გ. ჯაყელი, ა. რევაზოვი, ბ. საჯაია (მწვრთნელი ჩ. მურსაგულოვი), ლ. ქლენტი, ა. არაქელოვი, გ. ხაზუაშვილი, გ. მიქავა, ფ. ცხადიაშვილი, დ. მწითური და დ. ავალიანი (მწვრთნელი. გ. ჩიხრაძე), რ. გევორქიანი — (მწვრთნელი ე. არუთინოვი), თ. მიქავა (მწვრთნელი ფ. ალეკპეროვი), მ. გვირჯიშვილი (მწვრთნელი ვ. ყელიაშვილი).

ყველას გადაეცა ი. სტალინის და ი. ხვედელიანის პორტრეტებით დამშვენებული დიპლომები და ფასიანი საჩუქრები. ტურნირზე დაწესებული თასი ომარ ლეკვეიშვილმა გადასცა აკადემიის სტუდენტს დ. ავალიანს. დაწესებული წარსულში სახელმოხვეჭილი, აწ განსვენებული გ. დარბაისელის სახელობის თასი, რომელიც დიპლომთან ერთად გადაეცა წინა ტურნირებში „რინგის უფლისწულად" აღიარებულ ა. არაქელოვს.

ტურნირის საუკეთესო ტექნიკის მოკრივეებად დასახელდნენ გ. ჯაყელი, ა. არაქელოვი და ფ. ცხადიაშვილი, ხოლო გიგა მიქავა და რომა გევორქიანი ტურნირის საუკეთესო წყვილად აღიარეს. ი. საბიაშვილმა კლუბის სახელით გ. მიქავას და ა. არაქელოვს გადასცა მოკრივის ჩაფხუტები. გ. მიქავას — საბრძოლო ხელთათმნები გადასცა ჩემმა მეგობარმა, რომელსაც არ სურს გვარის დასახელება. იგი ამიერიდან გ. მიქავას ყველა შეჯიბრს დააფინანსებს. მინდა აღვნიშნო შპს „ლადო"-ს დირექტორ დავით შავიშვილისა და მთელი კოლექტივის დამსახურება.

● ***ი. სტალინისა და ი. ხვედელიანის შთამომავალთაგან თუ ესწრებოდა ვინმე ტურნირს?***

— ი. ხვედელიანის ოჯახი მოვიწვიე ორჯერ — დარბაზის გახსნაზე და პირველ ტურნირზე შარშან. პირადად ველაპარაკე მის ვაჟს, მაგრამ არ მოვიდა, წლეულს, აღარ მომიწვევია, ვიცოდი მაინც არ მოვიდოდა. აი, სტალინის შთამომავლებთან შერცხვენილი ვარ. ვერ მოვიწვიე.

„მოხარული ვარ, რომ ჩემი ოთიკო ბატონ გიორგის შეგირდია, ამ ოსტატთან ყველა რაინდად იზრდება.

ავალიანმა, როდესაც მოწინააღმდეგე დასცა ძირს — სიხარულით ხტუნვა კი არ დაიწყო, პირველი მიიჭრა დაცემულთან და მწვრთნელს დაეხმარა დამარცხებულის სკამზე დასმაში" — თქვა ოთარ ოქრუაშვილის დედამ ქალბატონმა სუსანამ.

ირაკლი სარალიძე

ფოტო რობერტ ბაგოიანისა

მხოლოდ ტექნიკური შედეგები

თბილისის მე-3 სპორტული სკოლის ღია პირველობა ძიუდოში

30 კგ: 1. მურად მურადოვი, 2. გიორგი გიორგაშვილი; ***35 კგ:*** 1. ირაკლი თაბუაშვილი, 2. ალექსი არუთინოვი, 3. ანრი მანუხაჯევი; ***46 კგ:*** 1. პაატა მერაბიშვილი, 2. შველიძე ვახო, 3. სერგო არუთინიანი; ***50 კგ:*** 1. იური გიორგაშვილი, 2. ლაშა მდივნიშვილი, 3. მერაბ თამარაშვილი; ***60 კგ:*** 1. ლერი უსენაშვილი, 2. ალბერტ ექტიბაროვი, 3. გიორგი ძნელაძე; ***70 კგ:*** 1. ზურა რევაზიშვილი, 2. შალვა თათრიშვილი, 3. გოგიტა იოსებაშვილი; ***+70 კგ:*** 1. ლაშა ნახუცრიშვილი, 2. დავით კედელაშვილი, 3. სერგო გევორქიანი და სამველ ელიანი.

რობერტ ფიშერის ამაღლება და დაცემა

ჭადრაკში მსოფლიო ჩემპიონის გვირგვინისათვის ბრძოლა ყოველთვის ითვლებოდა და ითვლება ერთ-ერთ ყველაზე ამაღლვებელ და თვალსაჩინო მოვლენად არა მარტო საჭადრაკო, არამედ, საერთოდ სპორტის ისტორიაში.

სხვადასხვა დროის მსოფლიო ჩემპიონთა ვ. სტეინიცის, ე. ლასკერის, ხ-რ. კაპაბლანკას, ა. ალიოხინის, მ. ეივეს, მ. ბოტვინიკის, ვ. სმისლოვის, მ. ტალის, ბ. სპასკის კოჰორტაში ყველაზე გამორჩეული ადგილი უკავია რობერტ (ბობი) ფიშერს..

ბობი ფიშერი იყო ჭადრაკის ვუნდერკინდი, რომელსაც ყველანი დიდ და ხანგრძლივ წარმატებებს უწინასწარმეტყველებდნენ. ის გამოირჩეოდა არა მარტო მაგარი კუნთებით, გენიოსური ნიჭით, ჩინებული რეაქციით, ზუსტი თვალზომით, არამედ, აგრეთვე, ნებისყოფით, მამაცობით, და, რაც მთავარია, გამარჯვების წადილით. ამასთან, ბობი ყველაზე ექსცენტრული საქციელით გამორჩეულ მოჭადრაკედაა აღიარებული.

რობერტ ფიშერი მხოლოდ 14 წლის იყო, როდესაც აშშ-ის ჩემპიონი გახდა, 15 წლისა — საერთაშორისო დიდოსტატი, 16 წლისა კი — მსოფლიო პირველობის პრეტენდენტი. ასეთი თავბრუდამხვევი წარმატებებით ადრეულ ასაკში ვერავინ დაიკვეხნიდა.

მას დიდი სწავლა-განათლება არ მიუღია, რის გამოც გაუნათლებელ ახალგაზრდად თვლიდნენ. 15 წლის ასაკში სკოლაში სწავლა მიატოვა და არც შემდგომში გაუგრძელებია. ბობის ეკუთვნის სიტყვები: „სკოლას მხოლოდ სულელები ამთავრებენ. ჭადრაკის სათამაშოდ ატესტატი არ მჭირდება".

მას საკუთარი სამყარო ჰქონდა. ეს იყო ჭადრაკის სამყარო, სადაც ის თავს ლაღად და ბედნიერად გრძნობდა. ბობი ფიშერი საჭადრაკო ასპარეზობაზე წარმატებას წარმატებაზე აღწევდა. მან 19 მსხვილი ტურნირიდან (აქ არ ითვლება საჭადრაკო ოლიმპიადები და ცალკეული მატჩები) 15 მოიგო და პირველი ადგილი დაიკავა. 1963 წელს კი ყველა მონაწილეს მოუგო და აშშ-ს ჩემპიონობა მოიპოვა.

ეს იყო ინფანტილური, თავისუფალი, მიამიტი ადამიანი, ბევრი მას ექსცენტრულად თვლიდა და სერიოზულ ადამიანად არ მიაჩნდა. ჟურნალისტები ათასგვარ ჭორებს ავრცელებდნენ, რომლებიც ფიშერის ინტერვიუებიდან გამომდინარეობდნენ, მაგრამ ისინი მისი პასუხებიდან უკმაყოფილონი იყვნენ, ვერ გაეგოთ, სად სერიოზულად პასუხობდა რესპოდენტი და სად დაცინვით. ის ჩაცმა-დახურვით ქვეყნის პრეზიდენტს ეჯიბრებოდა, აგროვებდა რა კოსტიუმების და, საერთოდ, ტანსაცმლის კოლექციას, თანაც იძენდა ყველაზე საუკეთესოს.

საჭადრაკო წარმატებებმა მისი ხასიათი კი არ გააუმჯობესა, პირიქით, გააუარესა. ბობი ჭირვეული, გალიზიანებული და კარჩაკეტილი გახდა. საჭადრაკო მატჩების ჩატარებისას ძალზე დიდი იყო მისი სუბიექტური პრეტენზიები. მას დიდ დარბაზებში, დიდი რაოდენობის მაყურებელთა თანდასწრებით თამაში არ უყვარდა, მოითხოვდა წინა რიგების დაცლას, მეტიც, ცალკე, იზოლირებულ ოთახში თამაშის მომხრე იყო. ალბათ, ბევრს ახსოვს ბობი ფიშერის მოთხოვნები და პრეტენზიები მიხეილ ტალის წინააღმდეგ, როდესაც ისინი პრეტენდენტთა მატჩში ხვდებოდნენ ერთმანეთს. ფიშერი ტალს უკრძალავდა სიგარეტის მოწევას, რომ მას თვალებში ნუ უყურებს, გიპნოზირებას ნუ ახდენს და ა.შ. ის ყველა ტურნირში ან მატჩში მონაწილეობისას მოითხოვდა დიდ ჰონორარებს, უკვეთავდა თვითმფრინავის სპეცრეისებს, თანაც, მხოლოდ თავისთვის. რაც მთავარია, მას კომპლექსები გაუჩნდა. ის დაავადდა „რუსული" კომპლექსით, რომ მის წინააღმდეგ მიმართულია „მოსკოვის ხრიკები", „რუსული შეთქმულება" და „საიდუმლო აქციები". ერთხელ მან თქვა, რომ „...არ მიყვარს თვითმფრინავები, რადგან რუსებმა შეიძლება ძრავა გააფუჭონ ან სხვა რამე გამოიყვანონ მწყობრიდან. ისინი დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ჭადრაკს და ყველაფერს გააკეთებენ, რომ თავიდან მომიშორონ". ამდაგვარი ნერვული გამოხდომები მას შემდეგ გახშირდა, რაც რობერტ ფიშერმა 1969 წელს პრეტენდენტთა ტურნირებში წარუმატებლად ითამაშა.

იმდროინდელმა გაუწონასწორებელმა მდგომარეობამ, მღელვარებამ და ნერვიულობამ მას გადააწყვეტინა რელიგიური სექტის წევრი გამხდარიყო. მაგრამ ბობი ჭადრაკისადმი სიყვარულმა და ფანატიკურმა დამოკიდებულებამ აიძულა გადაელახა კრიზისი და ისევ დაბრუნებოდა ჭადრაკს. ერთ-ერთი ჟურნალისტის შეკითხვაზე — „რას ნიშნავს ფიშერისათვის ჭადრაკი?" — მან ასეთი პასუხი გასცა: ჭადრაკში ყველაზე უფრო მიზიდავს მოგზაურობის შესაძლებლობა, ფული და საჭადრაკო ატმოსფერო. ჭადრაკი უფრო ხელოვნებაა, მაგრამ მე ამაზე არ დავფიქრებულვარ. ძალიან მიყვარს ჭადრაკი, მაგრამ აგრეთვე მაინტერესებს მუსიკა, სპორტი და პოლიტიკა. რასაც ჭადრაკში მივაღწიე, ვერ მივაღწევდი სხვა სფეროში. სკოლა არ დავამთავრე, მაგრამ დარწმუნებული არ ვარ, რომ უნდა დამემთავრებინა. სხვათა შორის, როდესაც რობერტ ფიშერის განათლებასთან დაკავშირებით მის ინტელექტს მეცნიერული ტესტირება ჩაუტარდა, ბობის მაჩვენებლები ძალზე მაღალი აღმოჩნდა: 189 — მაშინ, როდესაც ნორმა 110-120 იყო...

30 წლისა და ოთხი თვის წინ, 1972 წლის 1 სექტემბერს, რობერტ ფიშერი მსოფლიოს ჩემპიონი გახდა. მანამდე მან მეოთხედფინალურ მატჩში გაანადგურა მარკ ტაიმანოვი, მოუგო რა მას ანგარიშით 6:0! ასეთივე ანგარიშით ნახევარფინალში დაამარცხა ბენტ ლარსენი. ამ მატჩებში გამარჯვების შემდეგ ბობიმ მოკრძალებული ტონით განაცხადა: „მე უბრალოდ უფრო ზუსტად ვთამაშობდი, ვიდრე ტაიმანოვი და ლარსენი. ისინი შეცდომებს უშვებდნენ, მე კი ამით ვსარგებლობდი."

შემდეგი, ფინალური მატჩი ბუენოს-აირესში ჩატარდა. გვახსენდება იმჟამინდელი რუსული პრესის გამონათქვამები, სადაც დიდ იმედებს ამყარებდნენ ტიგრან პეტროსიანზე, რომელსაც დითირამბებს უძღვნიდნენ და გამარჯვებებს უწინასწარმეტყველებდნენ. აქვე აღვნიშნავთ, რომ არგენტინაში ძალზე ბევრი სომეხი ცხოვრობს და, ბუნებრივია, ისინი ძალზე დაინტერესებული იყვნენ პეტროსიანის გამარჯვებით, მას ქომაგობდნენ და მხარს უჭერდნენ. ზოგიერთებს ახსოვთ, თუ როგორ დახვდნენ ბუენოს-აირესის აეროპორტის მისადგომებთან ათი ათასობით სომხები და ტიგრან პეტროსიანს ხმამაღლა ოვაციებით მიესალმებოდნენ: „ვივა, პეტროსიან!"

თავიდანვე რ. ფიშერი — პეტროსიანის შეხვედრაში დაძაბულ ბრძოლას ელოდნენ, მაგრამ ბობიმ საბოლოოდ გატეხა ტიგრანის შეუპოვრობა და მან ოთხი გამარჯვება მოიპოვა. ამდაგვარად, რ. ფიშერმა გზა გაიკვლია მსოფლიო პირველობისაკენ, სადაც მას ბორის სპასკისთან შეხვედრა ელოდა. დადგა მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულისათვის გადამწყვეტი ბრძოლის პერიპეტიების დრო, მაგრამ მატჩი კინაღამ ჩაიშალა, რადგან ფიშერმა მოულოდნელად წამოაყენა დამატებითი მოთხოვნები, პირობები და პროტესტები. ბორის სპასკი ისლანდიის დედაქალაქ რეიკიავიკში ჩასული იყო, ხოლო რობერტ ფიშერი კი არ ჩანდა. ის არც მატჩის დაწყების დღეს გამოჩნდა რეიკიავიკში. ასეთი ანალოგი ჭადრაკის ისტორიას მანამდე ამ ახსოვდა. მიუხედავად ამისა, ფიდე-ს ხელმძღვანელობამ და მატჩის ორგანიზატორებმა მატჩის დაწყების დრო ერთი კვირით გადადეს, ყველაფერი ეს კი იმას ნიშნავდა, რომ რ. ფიშერი „ჭკუაზე მოსულიყო" და მატჩი არ ჩაშლილიყო. მართალია, თავისი საქციელისთვის ფიშერმა ბოდიში მოიხადა და როგორც იქნა, საჭადრაკო დაფას მიუჯდა. დაძაბულობა და ნერვიულობა არ დამცხრალა, რამაც უფრო გაამწვავა მდგომარეობა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც რობერტ ფიშერი მეორე პარტიის სათამაშოდ საერთოდ არ გამოცხადდა და ამით მან მთელი ქულა დაკარგა. მესამე პარტიის ჩატარება მან დახურულ შენობაში მოითხოვა, სხვა ახალი ულტიმატუმებიც ბევრი იყო მისი მხრიდან, ორგანიზატორებს დაემუქრა, რომ მატჩს მიატოვებდა და რეიკიავიკიდან საერთოდ წავიდოდა.

რ. ფიშერის ასეთმა საქციელმა ფსიქოლოგიური ზემოქმედება მოახდინა ბ. სპასკიზე. ის დათრგუნული და მოუმზადებელი აღმოჩნდა მოწინააღმდეგის სტრატეგიული შეტევების მოსაგერიებლად. ასე იყო თუ ისე, ბობი ფიშერმა მოიპოვა რა ბორის სპასკიზე ფსიქოლოგიური უპირატესობა, მან 21-ე პარტიისთვის 12,5 ქულა დააგროვა, რაც საკმარისი იყო მსოფლიოს ჩემპიონის გვირგვინის მოსაპოვებლად. რობერტ ფიშერი 1972 წლის 1 სექტემბერს მსოფლიოს მეთერთმეტე ჩემპიონი გახდა ჭადრაკში.

მართალია, ბობი ფიშერი უდიდესი მოჭადრაკე იყო, მაგრამ თავისი ქცევებით, გამოხდომებით, ნერვული ქმედებებით, ფსიქოლოგიური ზემოქმედებებით და დაუსაბუთებელი მოთხოვნებით დისონანსი შეჰქონდა საჭადრაკო მოძრაობის ნორმალურ მსვლელობაში. თუმცა, ბობი ფიშერმა ბევრი რამ სასიკეთოდ შეცვალა ჭადრაკის სამყაროში, განსაკუთრებით კი მოჭადრაკეთა დაფასებისთვის, მათთვის მატერიალური ანაზღაურების ამაღლებისათვის და ცხოვრების დონის გაუმჯობესებისთვის. სამწუხაროდ, 1972 წლის 21 აგვისტოს რეიკიავიკში ბორის სპასკის წინააღმდეგ ჩატარებული 21-ე პარტია მის საჭადრაკო კარიერაში ოფიციალურად ბოლო და უკანასკნელი პარტია აღმოჩნდა.

მსოფლიო ჩემპიონატის მოგების შემდეგ რობერტ ფიშერის პოპულარობა განსაკუთრებით უზომოდ გაიზარდა ამერიკის შეერთებულ შტატებში. ამბობდნენ, რომ თუ ის თავის კანდიდატურას წამოაყენებდა პრეზიდენტის არჩევნების წინ, მას ამერიკელთა უმრავლესობა ხმას მისცემდა და ის ქვეყნის პრეზიდენტი გახდებოდა. იმასაც ამბობდნენ, რომ გამარჯვების აღსანიშნავად იგი იმჟამინდელმა აშშ-ის პრეზიდენტმა რიჩარდ ნიქსონმა თეთრ სახლში მიიწვია, მაგრამ ფიშერმა მცირე ფიქრის შემდეგ სრულიად მოულოდნელად და მიუღებლად უარი განაცხადა „ბრძნული" სიტყვებით: „მე იქ იმდენი სიტყვა მექნება წარმოსათქმელი, რომ ჭადრაკში მეცადინეობას ვერ მოვასწრებ..."



1975 წელს მას თავისი ტიტული უნდა დაეცვა პრეტენდენტ ანატოლი კარპოვთან შეხვედრაში. მსოფლიო ჩემპიონატის დაწყების წინ რ. ფიშერმა ახალი კონფლიქტური მოთხოვნები წამოაყენა, რომლებიც ფიდე-მ არარეალურად მიიჩნია. მასთან მოლაპარაკებებით ვერაფერს გახდნენ. მოთმინების ფიალა აევსოთ და 1975 წლის 3 აპრილს, ფიდე-ს გადაწყვეტილებით, ახალ, რიგით მე-12 მსოფლიო ჩემპიონად, თანაც უბრძოლველად, ანატოლი კარპოვი გამოაცხადეს.

ამით დამთავრდა ფიშერის ხანმოკლე, მაგრამ ნიჭით და გენიოსობით, ექსცენტრულობით და კონფლიქტური სიტუაციებით აღსავსე საჭადრაკო ცხოვრება. ის ძალზე ადრე განუდგა არა მარტო უშუალოდ ჭადრაკის თამაშს, არამედ, მის თაყვანისმცემლებსა და საზოგადოებრიობას. მიუხედავად ფათერაკებით და ტრაგიზმით სავსე მისი ცხოვრებისა, რობერტ ფიშერმა ნათელი და განუმეორებელი კვალი დატოვა მსოფლიო ჭადრაკის ისტორიაში

გურამ ჩხიკვაძე

ახალი თაობის ფეხბურთელები

მურთაზს ძალიან სურს მომავალში მწვრთნელი გახდეს



მურთაზ ბურნაძე – დაიბადა 1984 წლის 14 მარტს, გორში. ბურთს პატარაობიდანვე გაუშინაურდა. 8 წლისას ფეხბურთელობა უკვე „კოჭებში ეტყობოდა“. ოჯახისა და თავისი დიდი ხალისის წყალობით პატარა „ბურნა“ გორის „დილაში“ ჩაირიცხა – ბავშვობის ოცნება აისრულა. ამჟამად თბილისის „ლოკომოტივის“ ღირსებას იცავს. პირველ თვალსაჩინო წარმატებას 2002 წლის ოქტომბერში მიაღწია, როდესაც 19 წლამდელთა ჭაბუკთა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი წარმატებით გაიარა. უცოლოა, ჰყავს მშობლები, და-ძმა.

● ***გორის „დილას“ შემდეგ თბილისის „ლოკომოტივი“, ამჟამადაც ამ გუნდის ღირსებას იცავ. როგორ გრძნობ თავს რკინიგზელთა რიგებში?***

— ძალიან კარგად. შევეჩვიე. თუმცა არც კი გამჭირვებია, რადგან აქ ყველანი ჩემსავით ხუმარა და იუმორის გრძნობით დაჯილდოებული ბიჭები არიან. ძალიან მსიამოვნებს მათთან ურთიერთობა.

● ***ფეხბურთით ბავშვური გატაცება ერთია, პროფესიული არჩევანის გაკეთება — მეორე. ვინმე თუ შეეწინააღმდეგა შენს არჩევანს?***

— არა, ნამდვილად არავინ ყოფილა წინააღმდეგი. პირიქით, მშობლები მხარში ამომიდგნენ და ყველანაირი პირობა შემიქმნეს, რომ ნამდვილ ფეხბურთელად ჩამოვყალიბებულიყავი.

● ***რატომღაც შთაბეჭდილება მრჩება, რომ ფეხბურთის გარდა არაფერი გაინტერესებს...***

— მართალია. ფეხბურთს ჩემს ცხოვრებაში პირველი ადგილი უკავია.

● ***რომ არა ფეხბურთი?***

— ნამდვილად არ დავფიქრებულვარ. ალბათ, ქუჩაში ვიდგებოდი და ბირჟას გავამაგრებდი.

● ***სწავლა?..***

— აუცილებლად ვისწავლი.

● ***რა ფაკულტეტს აირჩევდი?***

— სამწვრთნელოს. ძალიან მინდა, რომ მომავალში მწვრთნელი გავხდე.

● ***გამოდის, რომ სამომავლოდ გეგმებს უკვე აწყობ...***

— რა თქმა უნდა, ისე, დრო მიჩვენებს რამდენად სწორი არჩევანი გავაკეთე. რა ვიცი, საერთოდ, გავხდები კი მწვრთნელი?

● ***ფეხბურთის გარდა სპორტის რა სახეობას უხდი ხარკს?***

— ძალიან მიყვარს ცურვა.

● ***რომელი ქვეყნის ჩემპიონატს უცქერი ტელევიზიით?***

— იტალიის. სერია „ა“-ს მატჩები მიზიდავს.

● ***რომელ გუნდს გულშემატკივრობთ?***

— „მილანს“.

● ***ჩემპიონთა ლიგის წლევანდელ გათამაშებაში?***

— „მილანს“.

● ***რატომ?***

— ძლიერი გუნდია. ვფიქრობ, რომ სწორედ „მილანი“ გავა ფინალში.

● ***ახლახან, 19 წლამდელთა საქართველოს ჭაბუკთა ნაკრებმა წარმატებით გაიარა პირველი ეტაპი, მეორე ეტაპი კი გაცილებით ძნელი იქნება. თამაშები იტალიაში გაიმართება. რას ფიქრობ?***

— მართალია რთული თამაშები გველის, მაგრამ ფარ-ხმალი არ უნდა დავყაროთ, უნდა ვიბრძოლოთ.

● ***შენ გუნდის კაპიტანი იყავი. აპირებ თუ არა გაიკეთო კაპიტნის სამკლაური?***

— ეს უკვე ჩემზე არაა დამოკიდებული. მწვრთნელის გადასაწყვეტია.

● ***როგორია მურთაზ ბურნაძე სპორტის მიღმა?***

— ძალიან წყნარი, მშვიდი და კარგი ბიჭი...

● ***შენს სიმშვიდეს მინდორზე რატომღაც ვერ ავლენ. რატომ?***

— მოედანზე ხშირად ვკამათობ და თანაც თამაშის დროს სხვა ადამიანი ვხდები.

● ***რატომ კამათობ?***

— წაგებას ვერ ვიტან და იმიტომ.

● ***თქვენს გუნდს ხომ ამ ბოლო დროს არ წაუგია...***

— მერე რა. ჩხუბის მიზეზი არ მელევა.

● ***მითხარი, მოედნის მიღმა თუ გიჩხუბია ოდესმე?***

— არა.

● ***რატომ?***

— რატომ ვიჩხუბო. თანაც უმიზეზოდ?

● ***გამოდის, რომ ჩხუბის მიზეზი მარტო მინდორზე წამოიჭრება ხოლმე, ასეა?***

— კი, ასეა. არა, სხვანაირად არ გამიგო, მთლად ასეთი ცუდიც არა ვარ.

● ***ვიცი, რომ იშვიათად გიწევს უარყოფითი ემოციების გამომჟღავნება. მაგრამ არა უშავს. ახლა მითხარი, თუ გყავს ავტომანქანა?***

— დიახ.

● ***ავტომრბოლებიდან ვის თანაუგრძნობ?***

— ძმებ შუმახერებს.

● ***მიზეზი?***

— უპირველესად, რომ ძმები არიან და ერთად ასპარეზობენ, თანაც, ძალიან მამაცები არიან...

● ***შენც ხომ არ გიცდია სიმამაცე გორი-თბილისის ტრასაზე?***

— არა, არ ვარ ჩქარი სიარულის მოყვარული.

● ***როცა თავისუფალი დრო გრჩება, როგორ ერთობი? ფეხბურთელებს ხომ არცთუ ისე დიდი დრო რჩებათ გასართობად?***

— მეგობრებთან ერთად ვარ. ახლა ერთთვიანი დასვენებაა და ძალიან მიხარია.

● ***ალბათ, სახლში წახვალ.***

— ჯერ არა, მაგრამ საახალწლოდ, აუცილებლად.

● ***დასვენება მართლაც კარგია. ქართულ ფეხბურთზე ბევრი ფილმია შექმნილი. რომელი მოგწონს?***

— (ფიქრობს) მერე: — „ფეოლა“.

● ***რომელი მსახიობი მოგწონს?***

(ფიქრისა და დიდი მსჯელობა-გამორიცხვის წესის მოშველიების შემდეგ ერთ-ერთი ამერიკელი მსახიობის ვინაობა დაასახელა — ვან დამი. მსახიობ ქალზე კატეგორიული უარი მითხრა, არც ერთი არ მომწონსო).

● ***რა სტილის მუსიკას უსმენ?***

— უფრო, კლასიკურს.

● ***რომელია შენი საყვარელი მომღერალი?***

— ძალიან მომწონს მერაბ სეფაშვილი.

● ***მურთაზ, თუ ხარ მორწმუნე?***

— განა შეიძლება ქართველი არამორწმუნე? შემიძლია თამამად გითხრათ, ჭეშმარიტი მორწმუნე ვარ. კვირაში ერთხელ კი ეკლესიაში ვლოცულობ.

● ***ძალიან კარგი. გსიამოვნებს ქუჩაში როცა გცნობენ?***

— კი, ძალიან. ვის არ სიამოვნებს ყურადღება...

● ***გეთანხმები. ვფიქრობ, რომ ყველას. ფეხბურთელები არ სვამენ, მაგრამ მაინც შეგეკითხები, თუ ეტანები ალკოჰოლურ სასმელებს?***

— არა, ნამდვილად არ ვეტანები.

● ***მოგისინჯავს თუ არა თავი თამადად?***

— ყველამ იცის, რომ არ ვსვამ და არც არავის შემოუთავაზებია თამადობა.

● ***მაინც, როგორი იქნები თუ იცი?***

— დალევით არ დავლევ. თავს კი ნამდვილად არ შევირცხვენ.

● ***სუფრის ტრადიციაზე ჩამოვარდა საუბარი და იქნებ დამისახელო შენი ფავორიტი კერძები, თუნდაც უცხოური...***

— ქართული და მხოლოდ ქართული, სხვა არაფერი.

● ***გამორჩეულად?***

— ხინკალზე ნამდვილად არ ვიტყვი უარს.

● ***თუ ხარ აზარტული?***

— კი, ძალიან, მაგრამ კაზინოში არასოდეს ვყოფილვარ.

● ***მაშინ რაში გამოიხატება შენი აზარტულობა?***

— როცა კარტს და ნარდს ვთამაშობ, აი მაშინ (იცინის).

● ***ახლა კი პირადულზეც ვისაუბროთ. თუ გყავს მეგობარი გოგონა?***

— დიახ, მყავს.

● ***ვთქვათ და შვილიც გყავს, ვაჟი, უბიძგებ ფეხბურთისკენ?***

— თუ აირჩევს, კი. მე არ მესმის იმ მშობლის, ვინც სპორტში შვილის არჩევანის წინააღმდეგ მიდის. არა, ნამდვილად არ დავუშლი, თუ მოისურვებს ჭიდაობას, გაჰყვეს, უნდა — ფეხბურთს. ხელს კი ნამდვილად შევუწყობ, ისე, როგორც ეს ჩემმა მშობლებმა გააკეთეს.

● ***გულახდილად მითხარი, რაზე ფიქრობ, როცა მარტო რჩები საკუთარ თავთან?***

— შენ წარმოიდგინე რომ, ფეხბურთზე...

● ***გამოდის, რომ ფანატიკოსი ხარ...***

— დიახ, ასეა და სხვანაირად ვერც წარმომიდგენია.

● ***ფეხბურთზე უზომოდ შეყვარებული ბურნა, გასული საუკუნის ფეხბურთელად ვის აღიარებს?***

— ალბათ, პელეს.

● ***შენი საყვარელი ფეხბურთელი ვინ არის?***

— ზიდანი, ძალიან მომწონს, კარგი ფეხბურთელია.

● ***გიყვარს პოზირება ფოტო ან ვიდეო კამერის წინ?***

— არა!

● ***რატომ? სურათებს ხომ იღებ ხოლმე?***

— ძალიან იშვიათად.

● ***უცნაურია, ცხოვრებაში რა გაძლევს სტიმულს?***

— ჩემი კარგი თამაში, წარმატებები და ოჯახიც, რა თქმა უნდა.

***P.S.** პირადად მე ბევრჯერ დავესწარი „ლოკომოტივის“ ვარჯიშს, დავრწმუნდი და ვეთანხმები ბურნას ნათქვამს. ამ გუნდში მართლაც, რომ იუმორით დაჯილდოებული ბიჭები არიან. რაც შეეხება თავად მურთაზ ბურნაძეს, რომელსაც ზედმეტ სახელად „ბურნას“ ეძახიან, დიდი მონდომებით ვარჯიშობს და აქაც მოჩანს მისი ხასიათის შტრიხები.*

ლელა ჯანჯოტაძე

33 საუკეთესოთა შორის...

ეს ჩვენი საფეხბურთო ისტორიაა

ვაგრძელებთ პუბლიკაციას თუ როგორ იყვნენ წარმოდგენილი სხვადასხვა წლებში, საბჭოთა კავშირის 33 საუკეთესო ფეხბურთელთა სიაში თბილისის „დინამოსა“ და, საერთოდ, საქართველოს ფეხბურთელები.

1978 წელი

მარჯვენა თავდამსხმელები: 1. **ვლადიმერ გუცაევი** („დინამო“, თბილისი), 2. გიორგი იარცევი („სპარტაკი“, მოსკოვი), 3. ნიკოლოზ ლატიში („შახტიორი“, დონეცკი);

ცენტრალური თავდამსხმელები: 1. **დავით ყიფიანი** („დინამო“, თბილისი), 2. ვალერი გაზაევი („ლოკომოტივი“, მოსკოვი), 3. იური გავრილოვი („სპარტაკი“, მოსკოვი);

განაპირა მარცხენა თავდამსხმელები: 1. ოლეგ ბლოხინი („დინამო“, კიევი), 2. **რამაზ შენგელია** („დინამო“ თბილისი), 3. ვლადიმერ კლემენტიევი („ზენიტი“, ლენინგრადი);

1979 წელი

მეკარეები: 1. რინატ დასაევი („სპარტაკი“, მოსკოვი), 2. **ოთარ გაბელია** („დინამო“, თბილისი), 3. იური დეგტერევი („შახტიორი“, დონეცკი);

მარჯვენა ცენტრალური მცველები: 1. ვაგიზ ხიდიატულინი („სპარტაკი“, მოსკოვი), 2. ანატოლი კონკოვი („დინამო“, კიევი), 3. **შოთა ხინჩაგაშვილი** („დინამო“, თბილისი);

მარცხენა ცენტრალური მცველები: 1. **ალექსანდრე ჩივაძე** („დინამო“, თბილისი), 2. აშოტ ხაჩატრიანი („არარატი“, ერევანი), 3. ვალერი შავეიკო („დინამო“, მინსკი);

მარჯვენა ნახევარმცველები: 1. ლეონიდ ბურიაკი („დინამო“, კიევი), 2. **ვიტალი დარასელია** („დინამო“, თბილისი), 3. ნიკოლოზ ფედორენკო („შახტიორი“, დონეცკი);

მარჯვენა თავდამსხმელები: 1. **ვლადიმერ გუცაევი** („დინამო“, თბილისი), 2. სერგეი ანდრეევი (სკა, როსტოვი), 3. ვლადიმერ როგოვსკი („შახტიორი“, დონეცკი).

ცენტრალური თავდამსხმელები: 1. იური გავრილოვი („სპარტაკი“, მოსკოვი), 2. ვიტალი სტარუხინი („შახტიორი“, დონეცკი), 3. **დავით ყიფიანი** („დინამო“, თბილისი);

მარცხენა თავდამსხმელები: 1. ოლეგ ბლოხინი („დინამო“, კიევი), 2. **რამაზ შენგელია** („დინამო“, თბილისი), 3. ვლადიმერ კაზაჩენოკი („ზენიტი“, ლენინგრადი).

ქვეყნდება **დურმიშხან ცინცაძის** მიერ მოწოდებული სტატისტიკის მიხედვით, მისივე რედაქციით.

(გაგრძელება იქნება)

დასაწყისი იხ. „ლელო“ №88-98

თქვენთვის, ერუდიტებო!

1. ***შეუძლია თუ არა ფეხბურთელს მოედანზე სათამაშოდ გამოვიდეს სათვალით?***
   - ა) შეუძლია
   - ბ) არ შეუძლია
   - გ) შეუძლია მსაჯის ნებართვით
2. ***აქვს თუ არა უფლება ფეხბურთელს ითამაშოს თუნდაც თითზე თაბაშირის ნახვევით?***
   - ა) არ აქვს
   - ბ) აქვს
   - გ) აქვს მსაჯის ნებართვით
3. ***რა ზომისაა საფეხბურთო მოედნის კარი?***
   - ა) 2,42 X 7,30
   - ბ) 2,44 X 7,32
   - გ) 2,50 X 7,50
4. ***რა სასჯელია სახიფათო თამაშისთვის?***
   - ა) საჯარიმო დარტყმა
   - ბ) გაფრთხილება
   - გ) თავისუფალი დარტყმა
5. ***შეიძლება თუ არა მოთამაშის გაძევება მოედნიდან გაუფრთხილებლად?***
   - ა) შეიძლება
   - ბ) არ შეიძლება
   - გ) შეიძლება მეორე გაფრთხილების შემდეგ.

პასუხები იხ. მე-6 გვ

ბორის ხასაია – 70

„საუღლე ხარს კოჭებში შეატყობენო“ — თქმულა ჩვენში და ეს ანდაზა სრულად მიესადაგებოდა სოხუმელ ახალგაზრდა ფეხბურთელს ბორის ხასაიას, რომელიც შეუმჩნეველი არ დარჩენიათ იმდროინდელ საქართველოს ჭაბუკთა ნაკრების მწვრთნელებს სპორტის დამსახურებულ ოსტატ არჩილ კიკნაძეს და ვახტანგ ბარკალაიას, როდესაც იგი მარჯვენა გარემარბის ადგილზე მიიწვიეს საქართველოს ჭაბუკ ფეხბურთელთა ნაკრებში. ეს ის დრო იყო, როცა თბილისის „დინამოს“ პირველი თაობა ამთავრებდა კარიერას და ესტაფეტა ახალგაზრდებისთვის უნდა გადაეცათ. სწორედ ამ დროს გამოჩნდა ახალი სახელები ქართულ ფეხბურთში — ალიოშა კოტრიკაძე, ზაურ კალოევი, გიგა ნორაკიძე, კარლო გაგნიძე, დოდიკ ხუნდაძე და სხვები საკავშირო ასპარეზობაზე, რომელიც დონის როსტოვსა და ივანოვოში ჩატარდა. ქართველმა ჭაბუკმა ფეხბურთელებმა დაუმარცხებლად იასპარეზეს და ფინალურ მატჩში სძლიეს მოსკოველ თანატოლებს 1-0. ეს ერთადერთი ბურთი მეტოქის კარში სწორედ სოხუმელმა ბორის ხასაიამ გაიტანა. აი იქ, შორეულ ივანოვოში დაადგა მას თვალი გენერალურმა მწვრთნელმა ანდრო ჟორდანიამ, რომელიც სამშობლოდან გადახვეწილი იმჟამად ივანოვოში ადგილობრივ „ტექსტილშჩიკს“ წვრთნიდა. სწრაფი, ვერცხლის წყალივით მოძრავი ფორვარდი ანდრომ თავის გუნდში მიიწვია. ახალბედა რუს ფეხბურთელთა ანსამბლს კარგად შეეწყო და ბომბარდირის სახელიც დაისაკუთრა. სწორედ ამ დროს ჩამოაღწია ბორის ხასაიას სახელმა საქართველოში და თაობათა ცვლის გამო ჩავარდნის პირას მისული თბილისის „დინამო“, იძულებული გახდა ბორის ხასაია, ასე ვთქვათ, ესესხებინათ... დიდი პატრიოტი და უფრო დიდი მოქალაქე ანდრო ჟორდანია უარს აბა როგორ ეტყოდა თბილისის „დინამოს“ მესვეურებს და 1954 წლის სეზონში ბორის ხასაიამ თბილისის „დინამოს“ სანუკვარი მაისური მოირგო. იმ წელს „დინამოს“ ახალწვეულმა 3-ჯერ შეძლო მეტოქის კარის აღება. მომდევნო 1955 წელს საფეხბურთო სეზონი ტრავმის გამო ბორის ხასაიამ სათადარიგო შემადგენლობაში გაატარა. იმ სეზონში მხოლოდ 1 ბურთის გატანა შეძლო. ბორის ხასაიას კვალდაკვალ 1955 წლის სეზონში თბილისის „დინამოს“ კვლავ ჩაუყენეს სათავეში ანდრო ჟორდანია და ახალგაზრდა ბორის ხასაიას აღზევება კვლავ დაიწყო. 1956 წლის სეზონში გატანილი 9 გოლით, ხასაია მეორეა ავთანდილ ჭკუასელის შემდეგ (11 გოლი), ხოლო 1957 წლის სეზონში მთავარი გოლეადორი გახდა — 7 გოლი. შედარებისთვის ვიტყვით, რომ მომდევნო ადგილზე გასულმა შოთა იამანიძემ და ავთანდილ ჭკუასელმა 5-5-ჯერ შეძლეს მეტოქის კარის აღება. სწორედ ამ დროს მიინიშნეს მისი გვარი საბჭოთა კავშირის ნაკრების მესვეურებმა და ვლადიმერ ელოშვილთან ერთად მიიწვიეს მის შემადგენლობაში, თუმცა მუდმივმა ტრავმებმა შეკვეცა მისი ოცნებები და მწვრთნელთა იმედები. ხასაია იმდენად სწრაფი და ტექნიკური ფეხბურთელი გახლდათ, მცველებს ძალზე უჭირდათ მისი ნეიტრალიზება და აკრძალულ ილეთებს ძალზე ხშირად იყენებდნენ, რაც მეტწილად ტრავმით მთავრდებოდა. ლეგენდარული ლევ იაშინიც შიშსა და ძრწოლაში ჰყავდა ბორის ხასაიას, რომელიც ისტერიულად უყვიროდა მცველებს „დერჟიტე ხასაია“!.. „დერჟიტე ხასაია“!..

1958 წლის სეზონში თბილისის „დინამოში“ ახალი ხელმძღვანელობა გამოჩნდა — გუნდი გამოცდილმა მწვრთნელმა ვასილი სოკოლოვმა ჩაიბარა და ჯერ კიდევ წინასასეზონო შეკრებაზე, ლესელიძეში, განაცხადა, რომ თბილისის „დინამოს“ მტკივნეული ადგილი თავდასხმაა. რომლის გასაძლიერებლად მას დიდად ეიმედებოდა თბილისის ოფიცერთა სახლის გუნდიდან გადმოსული თენგიზ მელაშვილის შესაძლებლობების საკავშირო პირველობაზე „ბ“ კლასში ასპარეზობის დროს მელაშვილს, როგორც იტყვიან, გაჰქონდა იმდენი გოლი, რამდენსაც მოისურვებდა. სწორედ მას დაუთმო ადგილი ბორის ხასაიამ, თავად კი მშობლიურ სოხუმში გადაბარგდა და ადგილობრივ „დინამოში“ გააგრძელა თამაში. „ა“ კლასში გამოსვლის 5 სეზონის განმავლობაში ბორის ხასაიამ თბილისის „დინამოს“ 65 კალენდარულ შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა და გაიტანა 20 გოლი, ამას უნდა დავუმატოთ 5 სეზონში თბილისის „დინამოს“ შეხვედრები საკავშირო თასზე, იმხანად მომრავლებული საერთაშორისო ამხანაგური მატჩები, რომელთა საერთო რიცხვი, ალბათ, 100-ს მიაღწევს.

ბორის ხასაია კარგა ხანია წავიდა ამქვეყნიდან.. თბილისელ და არა მარტო თბილისელ მაყურებელს დღესაც კარგად ახსოვს, როგორც წერილის დასაწყისში აღვნიშნეთ, სწრაფი, ვერცხლისწყალივით მოძრავი დრიბლინგის ოსტატი ბორის ხასაია, მოზეიმე ტრიბუნები და სახეგაბრწყინებული მისი თანაგუნდელები...

დემურ ტორაძე

გამოთხოვება კოტე მახარაძესთან

კაცი დავკარგეთ!..

ამ დიდი ზამთრის დროს, ჩაბნელებულ საქართველოს კიდევ ერთი უბედურება დაატყდა თავს: გარდაიცვალა დიდებული ხელოვანი, შეუდარებელი ქართველი ინტელიგენტი, განუმეორებელი სპორტული კომენტატორი, ჭეშმარიტი თბილისელი კოტე მახარაძე.

მე, მისმა უახლოესმა მეგობარმა ნოდარ ჯანბერიძემ დამაახლოვა ამ ოთხი ათეული წლის წინათ და მას შემდეგ მუდამ კეთილი და თბილი ადამიანური ურთიერთობა მქონდა მასთან. მილიონობით ფეხბურთის გულშემატკივარმა კოტე მახარაძე ახლო გაიცნო და დაიახლოვა თავისი მიმზიდველი რეპორტაჟებით, ეს იყო: რუსეთში თუ უკრაინაში, ბელორუსიაში თუ მოლდავეთში, ლიტვაში თუ ესტონეთში, ლატვიაში თუ კარელიაში, უზბეკეთში თუ ყაზახეთში, ყირგიზეთში თუ ტაჯიკეთში, აზერბაიჯანში თუ თურქმენეთში, სომხეთში თუ ოსეთში. ისე, ჩვენებურად რომ ვთქვათ, მთელ დუნიაზე აფასებდნენ და უკლებლივ ყველას უყვარდა. ამიტომაც ასევე ყველას გული დაწყვიტა მისმანაადრევმა გარდაცვალებამ. მე როგორც ქართული ფეხბურთის სტაჟიან გულშემატკვარს, ბედნიერება მქონდა ბატონ კოტე მახარაძესთან ბევრჯერ ახლო ვყოფილიყავი შინ თუ გარეთ, აქედან სამ მათგანს გამოვყოფ, რომლებიც ქართული ფეხბურთის ისტორიაში მართლაც ოქროს ასოებით ჩაიწერება. პირველი დიდი გამარჯვება ქართული ფეხბურთისა ქ. ტაშკენტში მოხდა, როდესაც დამატებით მატჩში ქართველმა ფეხბურთელებმა მოსკოველი ავტოქარხნელები დაამარცხეს და პირველად ისტორიაში ჩემპიონები გახდნენ. ეს იყო 1964 წლის ნოემბერში და იქ დაჭექილი ორი ბრწყინვალე ადამიანის ხმა, ეროსი მანჯგალაძისა და კოტე მახარაძისა იმიერსა თუ ამიერს ქართველთ გამარჯვებას აუწყებდა რადიოთი.

მეორეჯერ, ბატონ კოტე მახარაძესთან ერთად მომიწია დიდი სიხარულის გადატანა 1976 წლის სექტემბერში, როდესაც თბილისის დინამოელებმა ერევნის „არარატს“ სძლიეს და პირველად თასი აიღეს. 1981 წლის მაისში ბატონ კოტე მახარაძესთან ერთად გახლდით გერმანიაში, ქალაქ დიუსელდორფში, სადაც ნოდარ ახალკაცის გაწვრთნილმა თბილისის დინამოელებმა ტოლი არ დაუდეს მოწინაალმდეგეს, შეუძლებელი შეძლეს და ევროპის ქვეყნების თასის მფლობელები გახდნენ. აი, ამ ისტორიული ფინალის რეპორტაჟი რუსულ ენაზე ბრწყინვალედ მიჰყავდა ბატონ კოტე მახარაძეს. დაუვიწყარია ქართველთათვის 13 მაისი, ქართველ ფეხბურთელთა გამარჯვების დღე. მაშინდელი ბატონი კოტე მახარაძისეული ტელერეპორტაჟი, ჩემი ღრმა რწმენით, ოქროს ფონდში შევა და თაობიდან თაობებს სიამაყით გადაეცემა. ბატონი კოტე მახარაძე თავისი საქმის ერთგული პროფესიონალი იყო. ალბათ ამან განაპირობა მისი და მეორე კარგი პროფესიონალი მწვრთნელის ნოდარ ახალკაცის ერთმანეთთან დაახლოება. ეს ყოველთვის შეიმჩნეოდა, მაგრამ განსაკუთრებით ცისკრის ვარსკვლავივით მაშინ გამოჩნდა, როდესაც ზოგიერთმა უგუნურმა ქართველმა ნოდარ ახალკაცს უმუხთლა და მისი გაკეთებული დიდი საქმის გაბიაბრუება რომ მოინდომა. ბატონი კოტე მახარაძე ბოლომდე ნოდარ ახალკაცის ერთგული დარჩა. ბატონ კოტე მახარაძეს დაბადების 75 წლისთავი ტელეფონით რუსეთის პრეზიდენტმა მიულოცა, რაც მისი ნიჭისა და დამსახურების დიდი აღიარება იყო. მაგრამ საკმარისი აღმოჩნდა იგივე რუსეთის პრეზიდენტს და მის ზოგიერთ ჩინოვნიკს საქართველოს მიმართ ტელევიზიით სიტყვიერი მუქარა გამოეხატათ, რომ ბატონმა კოტემ უმალ ხმალივით იშიშვლა კალამი და ყველას საკადრისი პასუხი გასცა. ამით მან საკუთარ რენომეს უთვალავი ქულა შესძინა. ვამთავრებ ჩემს პატარა გამოსათხოვარს, მაგრამ ერთს დავძენ: ბატონი კოტე მახარაძე ბრძანდებოდა XX საუკუნის საქართველოს გამორჩეული მამულიშვილი, რომლის სახელსაც სათუთად შემოინახავს ჩვენი ქვეყნის ისტორია.

მშვიდობით, ქართველთა გამარჯვებების გაზაფხულის მერცხალივით მახარობელო ოქროპირო კაცო!

დურმიშხან ცინცაძე

ყველაზე ინტერნაციონალური კომენტატორი

ალბათ, არ შევცდები თუ ვიტყვი, რომ ყოფილ საბჭოთა კავშირში თავიანთი ხმით, დიქციით, მჭერმეტყველებით, ერუდიციით და, საერთოდ, პროფესიონალიზმით გამოირჩეოდნენ უპირველესად ფეხბურთის ისეთი კომენტატორები, როგორებიც იყვნენ ვადიმ სინიავსკი და ეროსი მანჯგალაძე, ნიკოლოზ ოზეროვი და კოტე მახარაძე.

თუ ვ. სინიავსკიმ და ე. მანჯგალაძემ თავი დაგვამახსოვრა გასული საუკუნის 40-50-იან წლებში, მაშინ ნ. ოზეროვი და კ. მახარაძე შეუდარებელი იყვნენ 60-80-იან წლებში. არ დაგვავიწყდეს, რომ უკანასკნელები სპორტიდან იყვნენ მოსული. პირველი საბჭოთა კავშირის მრავალგზის ჩემპიონი იყო ჩოგბურთში, ხოლო მეორე თბილისის „დინამოს“ შემადგენლობაში 1945 წელს საბჭოთა კავშირის თასის მფლობელი იყო კალათბურთში. ამასთან, ქართველი კომენტატორები რუსი კოლეგებისაგან განსხვავებით, უმაღლესი კატეგორიის მსახიობებიც იყვნენ.

თავისი წინამორბედებისაგან განსხვავებით კოტე მახარაძე იყო ყველაზე ინტერნაციონალური რადიო-ტელეკომენტატორი, რომელიც თანაბარი ძალით, ტემპერამენტით, მჭერმეტყველებით და გასაგებად საუბრობდა როგორც ქართულ, ასევე რუსულ ენაზე.

მართალია, კოტე მახარაძე პირველ რიგში ქართული ფეხბურთის გულშემატკივარი და მასზე ფანატიკურად იყო შეყვარებული, მაგრამ ის რეპორტაჟებში არავითარ მიკერძოებას და კვეხნას არ გამოხატავდა ქართველი ფეხბურთელების მიმართ. ის ყოველთვის ზუსტი, ობიექტური, სამართლიანი, თანაბარი და ერთნაირი იყო ყველა ეროვნების ფეხბურთელთა მიმართ. განსაკუთრებით ემოციური იყო და დიდ სიამოვნებას გამოხატავდა მაშინ, როდესაც მინდორზე ხედავდა მაღალი კლასის ფეხბურთელებს, მათ საშემსრულებლო ტექნიკას, იმპროვიზაციას, დრიბლინგს, ფინტებს, გასვლებს და გატანილ გოლებს. სწორედ მისი გამორჩეული თვისებების გამო ის მოსწონდათ არა მარტო ფეხბურთის გულშემატკივრებს, ფეხბურთელებს და, რაც მთავარია, მას აფასებდნენ და პატივს სცემდნენ ფეხბურთის უმაღლესი რანგის მსაჯები. ამიტომაც იყო, რომ ბატონ კოტეს ხშირად ეპატიჟებოდნენ ყველაზე საპასუხისმგებლო მატჩების რეპორტაჟების გადასაცემად.

კოტე მახარაძეს უყვარდა ხალხთან შეხვედრა და მათთან საუბარი. ამასთან დაკავშირებით გვახსენდება ოცდათხუთმეტი წლის წინ მისი ძალზე საინტერესო და შთამბეჭდავი გამოსვლა, თბილისის საავიაციო ქარხნის მრავალრიცხოვან მშრომელებთან შეხვედრისას. ბუნებრივია, მისი საუბრის თემა ძირითადად ფეხბურთს ეხებოდა. ერთ მომენტში ბატონმა კოტემ დასვა კითხვა – „როგორ მოქმედებს თქვენზე თბილისის „დინამოს“ გამარჯვება ან დამარცხება?!“ მუშა-მოსამსახურეთა პასუხი ერთსულოვანი იყო:

„როდესაც თბილისის „დინამო მარცხდება, მეორე დღეს მუშაობის ყოველგვარი ხალისი დაკარგული გვაქვს, რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლები დაბლა ეცემა, ხოლო როდესაც ჩვენები თამაშს იგებენ, ჩვენს სიხარულსა და აღმაფრენას საზღვარი არა აქვს, შესაბამისად, ჩვენი შრომის ნაყოფიერება საგრძნობლად იზრდება და გეგმასაც გადაჭარბებით ვასრულებთ“.

შეხვედრისას კოტე მახარაძემ ბევრი საინტერესო შემთხვევა გაიხსენა, რომელთაგან ერთს განსაკუთრებით მინდა ხაზი გავუსვა. აი, რა გვიამბო მან: „...დავამთავრე რა დონეცკიდან რადიო-რეპორტაჟი ადგილობრივ „შახტიორსა“ და თბილისის „დინამოს“ შეხვედრისა, დასასვენებლად სასტუმროში წავედი. გვიანი ღამე იყო, როდესაც კარზე დააკაკუნეს და ბოდიშის მოხდით მიღება მთხოვეს. მეც კარები გავაღე და კარებში შემოვიდა დონეცკელი ფანატიკოსი გულშემატკივარი, ჭარმაგი სამთო ინჟინერი. მან ნებართვა ითხოვა, რათა ოთახის კედლებზე მოტანილი ფორმატები გაეკრა, რომლებზედაც გრაფიკული წესით აკურატულად აღნიშნული ჰქონდა „შახტიორის“ მიერ დონეცკში (ადრე ამ ქალაქს ჯერ იუზოვკა, შემდეგ კი სტალინო ერქვა – გ.ჩ.) საკავშირო პირველობაზე და თასზე ყველა ჩატარებული მატჩების შედეგები და, შესაბამისად, იმ პერიოდისთვის საერთოდ დონბასის ოლქში განლაგებული შახტებიდან ამოღებული ქვანახშირის რაოდენობით.

იმ შემთხვევაში, თუ „შახტიორს“ თამაში მოგებული ჰქონდა, მაშინ ქვანახშირის ამოღების გეგმა გადაჭარბებით იყო შესრულებული და სარეკორდო მაჩვენებლებს აღწევდა. თამაშის ფრედ დამთავრებისას ქვანახშირის ამოღება გეგმიურს არ აღემატებოდა და არც ჩამორჩებოდა. თუ „შახტიორი“ თამაშს აგებდა, მაშინ ქვანახშირის ამოღების გეგმას ვერც ერთი შახტი ვერ ასრულებდა და კატასტროფული მდგომარეობა იქმნებოდა...“

ბატონ კოტეს დასკვნითი გამოსვლა ერთნიშნა იყო: დიდია საფეხბურთო მატჩების გავლენა ადამიანთა გუნება-განწყობილებაზე და მათ ცხოველუნარიანობაზე.

ის წავიდა და მოგონებად დაგვიტოვა თავისი განუმეორებელი ხმა, რომელიც თავისი ხალხისადმი სიყვარულითა და პატივისცემით იყო სავსე. ასეთებს არასოდეს არავინ დაივიწყებს.

გურამ ჩხიკვაძე

ლეგენდარული კომენტატორი

მის ხმას ფეხბურთის ყველა მოყვარული იცნობდა, მის ხმასთან არის დაკავშირებული ქართული ფეხბურთის განუმეორებელი მიღწევები. დაწყებული 1964 წელს, თბილისის „დინამოს“ საბჭოთა კავშირის ჩემპიონობიდან, 1981 წელს ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის მოპოვებით დასრულებული. აბა, ვის დაავიწყდება ბატონი კოტე მახარაძის რეპორტაჟი ტაშკენტის „ოქროს მატჩიდან“, აბა, ვის დაავიწყდება 1981 წლის 13 მაისის ღამე, როცა აწ უკვე ლეგენდად ქცეულ კომენტატორს პირდაპირი რეპორტაჟი მიჰყავდა დიუსელდორფიდან, სადაც თბილისის „დინამომ“ განუმეორებელ წარმატებას მიაღწია „კარლ ცეისთან“ და ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასი დაისაკუთრა. აბა, ვის დაავიწყდება სიხარულისგან დაუოკებელი ემოციებით აღსავსე კოტე მახარაძის ფრაზა დიუსელდორფის მატჩის არბიტრის ფინალური სასტვენის შემდეგ: „ნასტოიაშჩაია პაბედა გრუზინსკიხ ფუტბოლისტოვ, ნასტოიაშჩაია პობედა სოვეტსკოგო ფუტბოლა...“

„ყოფილი საბჭოთა კავშირის პერიოდში ყველას ეკრძალებოდა ემოციების გამოხატვა (მით უმეტეს, — ეროვნული), თვით ყოფილი საბჭოთა კავშირის ტელერადიოდეპარტამენტის თავმჯდომარეს ლაპინს კონტროლზე ჰყავდა აყვანილი ეს საკითხი, მაგრამ ამის მიუხედავად, მე და ნიკალაი ოზეროვს მაინც „პრივილეგიები“ გვენიჭებოდა“, — იხსენებდა ბატონი კოტე ამ ცოტა ხნის წინათ.

კოტე მახარაძეს დიდებული ხმა ჰქონდა. თვით თეატრალურ სცენაზეც კი, მისი ხმის გაგონებაზე, მაყურებლებს წამით წარმოუდგებოდათ ხალხით გადაჭედილი სტადიონი, თბილისის „დინამოს“ მიერ გატანილი გოლი და მახარაძისეული სიხარულის ემოციები, ამ ქართველ კომენტატორს ჰქონდა უნიკალური თვისება იმისა, რომ საყვარელი „დინამოს“ მარცხი ისე გაეუფერულებინა, მაყურებლისათვის მომავლის დამაჯერებელი იმედი დაეტოვებინა.

დღეს საქართველოს ეს ხმა დაეკარგა... ბატონ კოტე მახარაძეს დღეს უკანასკნელ გზაზე აცილებენ. წავიდა კაცი, რომელსაც უსაზღვროდ უყვარდა ქართული თეატრი და ფეხბურთი. ბატონ კოტეს გული შესტკიოდა ქართულ ფეხბურთში შექმნილ კრიზისულ ვითარებაზე. როცა თბილისის „დინამო“ ყოფილი საბჭოთა კავშირის ჩემპიონატიდან გამოვიდა, კოტე მახარაძემ კომენტატორობა მიატოვა, მაგრამ მაყურებლებს მალე მოენატრათ მისი ხმა. მახსოვს, თბილისის „დინამოს“ პირველი გამოსვლა დამოუკიდებელი საქართველოს სახელით ევროტურნირებში.

საქართველოს ჩემპიონის პირველი მატჩი ჩრდილოირლანდიურ „ლინფილდთან“, რომლის რეპორტაჟი კოტე მახარაძემ წაიყვანა. მატჩის შემდეგ გამარჯვების სიხარულს ვერ მალავდა. „ბოლოს და ბოლოს ვიპოვეთ 11 ფეხბურთელი, რომელსაც ქვეყნისათვის დიდი სიხარულის მოტანა შეუძლიათო“, მაგრამ „ლინფილდთან“ დაკავშირებული ინციდენტის შემდეგ „დინამო“ ევროტურნირებს ერთი წლით ჩამოაშორეს, ფეხბურთელებიც წავიდ-წამოვიდნენ...

ევროტურნირებზე წარუმატებლობის სერიის მიუხედავად, ბატონ კოტეს ყოველთვის სჯეროდა, რომ ქართული ფეხბურთი ოდესღაც მაინც გაიბრწყინებს და ძველ ტრადიციებს დაიბრუნებს. ქართული კლუბებისა თუ საქართველოს ნაკრების მონაწილეობით არც ერთ საერთაშორისო შეხვედრას უყურადღებოდ არ ტოვებდა. ასე იყო 12 ოქტომბერსაც, როცა თბილისში, „ლოკომოტივის“ სტადიონზე საქართველოსა და რუსეთის ფეხბურთელთა ნაკრებები დაუპირისპირდნენ. როცა ამ პოლიტიკური და სპორტული ბატალიებით მეტად დაძაბული მატჩის დროს, სტადიონზე სინათლე გამოირთო, ბატონ კოტეს გულმა მეტს ველარ გაუძლო... ორი თვის განმავლობაში ებრძოდა ლეგენდარული კომენტატორი სიკვდილს, მაგრამ...

გავა წლები, ალბათ ქართული ფეხბურთიც გაიბრწყინებს (ღმერთმა ქნას!), მაგრამ ბატონი კოტე მახარაძის ხმა არავის დაავიწყდება, მისი რეპორტაჟები ხომ „ოქროს ფონდშია“ შესული.

მინდა გავიხსენო კოტესთან ათი წლის წინ გაკეთებული ინტერვიუ, რომლის დროსაც ჩემს რესპოდენტს ვთხოვე, ერთი წუთით წარმოედგინა თავი კომენტატორის ჯიხურში და მისი „ოცნების რეპორტაჟი“ წაეყვანა. ამაზე ბატონი კოტე სიამოვნებით დამთანხმდა და დაიწყო (ეს ის პერიოდია, როცა მსოფლიოს 1994 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი იწყებოდა, მაგრამ კომენტატორმა თავი უკვე ჩემპიონატის ფინალურ სტადიაზე, აშშ-ში წარმოიდგინა): „ლაპარაკობს და უჩვენებს ნიუ-იორკი, ახლა თბილისის დროით შუაღამეა, მაგრამ მჯერა, რომ მთელ საქართველოს არ სძინავს, ანდა, რა დააძინებს, როცა მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ მატჩში ერთმანეთს ხვდებიან საქართველოსა და ბრაზილიის ნაკრები გუნდები (აქ ბატონმა კოტემ მიკროფონს ხელი დააფარა). ოცნება ხომ ყველას უფლებაა და საქართველოს ნაკრები თუ მსოფლიო ჩემპიონი გახდება და ფინალური მატჩის წაყვანის საშუალება მექნება, რეპორტაჟს აუცილებლად რუსული სიტყვებით დავასრულებ (მიკროფონს ხელი გაუშვა და გააგრძელა): „ნასტოიაშჩაია პობედა გრუზინსკიხ ფუტბოლისტოვ, ნასტოიაშჩაია პობედა გრუზინსკოგო ფუტბოლა“...

საწყენია, რომ ვერ მოესწრო...

თენგიზ ჩოგანიძე

საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

„მილანის“ არატრაგიკული ფრე და „რეალ სოსიედადის“ გრძელი ზღაპარი

ლაციო — ბოლონია


ბეტისი — ოსასუნა

მილანი — ბრეშია

გასულ შაბათ-კვირას ევროპის ქვეყნების საფეხბურთო ჩემპიონატების მორიგი ტურის მატჩები შედგა. ბევრისთვის მოულოდნელად. კახი კალაძის „მილანმა“ ***სერია „ა“-ს*** მეთხუთმეტე ტურში, საკუთარ მოედანზე ვერაფერი მოუხერხა „ბრეშას“ (მატჩი ფრედ 0-0 დასრულდა), თუმცა კარლო ანჩელოტი ზედიზედ შვიდი გამარჯვების შემდეგ ამ ფრეს ტრაგედიად ვერ აღიქვამს. „მილანს“ ახლა 33 ქულა აქვს და „ინტერთან“ ერთად პირველ-მეორე ადგილებს იყოფს. „ინტერმა“ სტუმრად მეტად პრინციპული შეხვედრა მოუგო „პარმას“ 2-1.

ტურინის „იუვენტუსმა“ კამორანეზის მიერ მატჩის უკანასკნელ წუთზე გატანილი ერთადერთი გოლის წყალობით მოუგო სტუმრად „პერუჯას“.

სხვა მატჩები: „მოდენა“ — „უდინეზე“ 0-1, „ტორინო“ — „რომა“ 0-1, „ლაციო — „ბოლონია“ 1-1, „კიევო“ — „კომო“ 2-0, „რეჯინა“ — „პიაჩენცა“ 3-1, „ატალანტა“ — „ემპოლი“ 2-2.

ინგლისის „პრემიერ ლიგის“ მეცხრამეტე ტურში „არსენალმა“ 2-0 მოუგო „მიდლსბროს“. ასეთივე ანგარიშით „ჩელსიმ“ „ასტონ ვილა“ დაამარცხა, ხოლო „ნიუკასლმა“ — „ფულემი“. „ლივერპულმა“ ვერ შეძლო „ევერტონთან“ გამარჯვების მოპოვება (0-0), ხოლო რაც შეეხება „მანჩესტერ იუნაიტედს“, ამ უკანასკნელმა 0-1 დათმო შეხვედრა სტუმრად „ბლექბერნთან“.

სხვა მატჩები: „ლიდსი“ — „საუთჰემპტონი“ 1-1, „ვესტ ჰემი“ — „ბოლტონი“ 1-1, „ვესტ ბრომვიჩი“ — „სანდერ-ლენდი“, 2-2, „ბირმინგემი“ — „ჩარლტონი“ 1-1.

სატურნირო ცხრილში 39 ქულით პირველ ადგილზეა „არსენალი“, რომელსაც ორი ქულით ჩამორჩება „ჩელსი“. 35 ქულა აქვს „მანჩესტერ იუნაიტედს“.

ესპანეთის პრემიერდივიზიონში კი გრძელდება გიორგი დემეტრაძის გუნდის „რეალ სოსიედადის“ წარმატებათა სერია. „სოსიედადმა“ ამჯერად აუტსაიდერ „უელვას“ მოუგო სტუმრად 3-1. თავდაპირველად მასპინძლები დაწინაურდნენ რაულ მოლინის 39-ე წუთზე გატანილი გოლით, მაგრამ 3 წუთში ნიჰატმა ანგარიში გაათანაბრა. მანვე 56-ე წუთზე მეორედ აიღო „უელვას“ კარი, ხოლო მატჩის ბოლო წუთზე ლორენცემ მესამე გოლი გაიტანა მასპინძელთა კარში.

„მალაგა“ პირველი ტაიმის შემდეგ 2-0 უგებდა მადრიდის „რეალს“, მაგრამ მეორე ტაიმში ზიდანმა, რაულმა და ფიგუმ სამჯერ აიღეს მეტოქის კარი და სამეფო კლუბმა გაიმარჯვა 3-2.

„ბარსელონამ“ ფეხბურთის დიდებული გაკვეთილი ჩაუტარა სტუმრად „მალიორკას“ (4-0), ხოლო „დეპორტივომ“ მაკოს გოლის წყალობით სტუმრად სძლია „ვალენსიას“ (1-0).

სხვა მატჩები: „ატლეტიკო“ — „რასინგი“ 1-2, „ბილბაო“ — „ალავესი“ 2-0, „რაიო ვალეკანო“ — „სევილია“ 0-1, „სელტა“ — „ვილიარეალი“ 3-1, „ესპანიოლი“ — „ვალიადოლიდი“ 1-0, „ბეტისი“ — „ოსასუნა“ 2-1.

პრემიერდივიზიონს 35 ქულით კვლავ ლიდერობს „რეალ სოსიედადი“, რომელიც 7 ქულით (!) უსწრებს უახლოეს მდევარს „ვალენსიას“, 27-27 ქულით მესამე — მეოთხე ადგილებს იყოფენ „რეალი“ და „სელტა“.

ჰოლანდიის ჩემპიონატის მე-17 ტურში „აიაქსმა“ 2-0 მოუგო სტუმრად „ექსელსიორს“, თუმცა ისევ მეორე ადგილზეა, რადგან კვლავ გაიმარჯვა ერთპიროვნულმა ლიდერმა ასკ „ეინდჰოვენმა“, რომელმაც 1-0 სძლია „ვიტესს“. „ფეიენოორდი“ მთელი მატჩის განმავლობაში უგებდა „ბრედას“, მაგრამ არჩილ არველაძის ყოფილმა გუნდმა შეძლო ერთი ქულის მოპოვება (1-1).

სხვა მატჩები: „ტვენტე“ — „როზენდალი“ 3-0, „როდა“ — „უტრეხტი“ 1-0, „გრააფსხაპი“ — „ცვოლე“ 3-2, „ვილემი“ — „გრონინგენი“ 1-0, „ნაიმეგენი“ — „ვაალვაიკი“ 0-0.

შოტლანდიის პრემიერლიგის მორიგ ტურში „რეინჯერსმა“ 2-1 სძლია „პარტიკს“ და ისევ 4 ქულით უსწრებს „სელტიკს“, რომელმაც 2-0 მოუგო „დანდის“. „სელტიკის“ შემადგენლობაში ითამაშა ხიზანიშვილმა.

გასქოინს დიდი ფეხბურთი მოენატრა

ინგლისის ნაკრების ყოფილმა ნახევარმცველმა პოლ გასქოინმა განაცხადა, რომ მზად არის, ითამაშოს ქვეყნის პრემიერლიგისა ან პირველი დივიზიონის ნებისმიერ კლუბში.

პოლ გასქოინი

„მე გამუდმებით ვვარჯიშობ და ისეთსავე სპორტულ ფორმაში ვარ, როგორც სამი წლის წინ. მინდა ყველას დავანახვო, თუ რა შემიძლია“ — ამბობს 35 წლის გასქოინი.

ვან გაალი „ბარსელონაში“ რჩება

კვირას, „ბარსელონას“ ალმასკომის სხდომა გაიმართა, რომელზედაც ვან გაალი მთავარი მწვრთნელის პოსტზე დატოვეს. შეგახსენებთ, რომ რამდენიმე დღის წინ გუნდის არასტაბილური თამაშიდან გამომდინარე გაისმოდა მწვავე კრიტიკა ლუი ვან გაალის მისამართით, თუმცა შაბათს „მალაგას განადგურებით“ (4-0) მთავარმა მწვრთნელმა დაკარგული იმიჯი დაიბრუნა.

ვან გაალი

ნიგერიელი ქალები მსოფლიო ჩემპიონები არიან

ნიგერიის ფეხბურთელ ქალთა ნაკრებმა 2-0 დაამარცხა განას გუნდი და აფრიკის ჩემპიონი გახდა. ეს წოდება ნიგერიელმა ქალებმა უკვე მესამედ მოიპოვეს. მსგავს წარმატებას მათ 1998 და 2000 წლებში მიაღწიეს. ახლა ნიგერიელებიც და განელებიც წარდგებიან მსოფლიო ჩემპიონატზე, რომელიც მომავალი წლის სექტემბერ-ოქტომბერში ჩინეთში ჩატარდება.

რონალდომ თოვლის ბაბუა გამოიძახა

მსოფლიო ფეხბურთის ვარსკვლავი რონალდო კვირას ჩაფრინდა რიო-დე-ჟანეიროში, რათა შობას საკუთარ ოჯახში შეხვდეს. ბრაზილიაში რონალდო 28 დეკემბრამდე დაჰყოფს. ახალ წელს კი ბრაზილიელი პარიზში შეხვდება.

„ეს იქნება ყველაზე სასიხარულო შობა-ახალი წელი ჩემს ცხოვრებაში, რადგან გასული წელი საუკეთესო იყო. ვიმედოვნებ, რომ 2003 წელი უფრო უკეთესი იქნება“, — განაცხადა რონალდომ ჟურნალისტებთან საუბარში. ფეხბურთელის დედამ დონა სონიამ განაცხადა, რომ რონალდომ შობა ღამისთვის თოვლის ბაბუა გამოიძახა.

ფრანგები და ბრაზილიელები ამხანაგურად გაეჯიბრებიან

მსოფლიოს ბოლო ორ პირველობაში გამარჯვებული გუნდები: საფრანგეთისა და ბრაზილიის ნაკრებები ერთმანეთთან ამხანაგურ შეხვედრას ჩაატარებენ მომავალი წლის 21 მაისს, პარიზში. ორივე გუნდის ხელმძღვანელობას ეს თარიღი შემთხვევით არ აურჩევია: მომავალი წლის 21 მაისს ფიფას დაარსებიდან 100 წელი უსრულდება.

არგენტინას და ჩილეს მსოფლიოს 2014 წლის მასპინძლობა სურთ

სამხრეთ ამერიკის ორი ქვეყნის — არგენტინისა და ჩილეს ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელებმა ერთობლივი კანდიდატურა წამოაყენეს მსოფლიოს 2014 წლის ჩემპიონატის მასპინძლობის უფლების მისაღებად. ეს არის გამოხმაურება ფიფას პრეზიდენტის იოზეფ ბლატერისა, რომლის სიტყვების თანახმად, მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატის მასპინძლობის საშუალება აფრიკის რომელიმე ქვეყანას უნდა მიეცეს, ხოლო მომდევნო 2014 წლის პირველობა სამხრეთ ამერიკაში უნდა ჩატარდეს.

კიევის „დინამოს“ შესაძლოა ოლეგ ბლოხინმა უთავკაცოს

ოლეგ ბლოხინი

საფეხბურთო კლუბ კიევის „დინამოს“ პრეზიდენტმა იგორ სურკისმა განაცხადა, რომ დღის წესრიგში დგას ახალი მწვრთნელის საკითხი, მიუხედავად იმისა, რომ ალექსეი მიხაილიჩენკოს გუნდთან კონტრაქტი მიმდინარე სეზონის ბოლოს უმთავრდება. კიევის „დინამოს“ მთავარი მწვრთნელის პოსტზე უკვე ასახელებენ კანდიდატურებსაც, რომელთა შორის არიან ოლეგ ბლოხინი, მიხაილ ფომენკო და იოჟეფ საბო.

ნომრიდან — ნომრამდე!

- ცნობილი გახდა, რომ თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელი ოთარ ხიზანეიშვილი მოსკოვის „სპარტაკში“ ბრუნდება, ვისაც ის ეკუთვნის და ახლო მომავალში, ალბათ, გაიყიდება კიდეც.

- **ქართველი ლეგიონერი ლაშა ჯაკობია ისევ ბელგიაში გააგრძელებს თამაშს და 2003 წლის პირველ ნახევარში მას ან „გენტში“ ან „მონსში“ ვიხილავთ.**

- მართალია, ლევან კობიაშვილს „ფრაიბურგში“ ვადა უმთავრდება, კლუბის ხელმძღვანელობა მაინც ფიქრობს ქართველმა სეზონი აქ დაამთავროს და გუნდს დაეხმაროს ბუნდესლიგაში გადასვლაში.

- **ბათუმის დინამოელი ზურაბ არჩვაძე სეზონის მეორე ნახევრიდან, როგორც იუწყებიან, შეიძლება თურქეთის „გიოზთეფში“ ვიხილოთ. ეს გუნდი უმაღლეს ლიგაში თამაშობს.**

- თბილისის „დინამოს“ ყოფილმა ფეხბურთელმა, 36 წლის ახრიკ ცვეიბამ შეწყვიტა თამაში და რუსეთის I დივიზიონში მოასპარეზე ნოვოკუზნეცკის „მეტალურგ-ზაპსიბას“ რიგითი მწვრთნელი გახდა.

- არჩილ არველაძეს **უკვე დაუწყია ბურთით ვარჯიში ხანგრძლივი მკურნალობის შემდეგ. ვარაუდობენ, რომ გაზაფხულზე იგი სრული მოცულობით შეძლებს გუნდთან ერთად მომზადებას.**

- ორი კვირის წინათ მიღებული ტრავმის შემდეგ უკვე შეუდგა ვარჯიშს გიორგი ნემსაძე: ექიმები ფიქრობენ, რომ ქართველი ლეგიონერი შეიძლება მალე ჩაერთოს მატჩებში.

- სკანდალური ამბებით **ცნობილი ომსკელი ფეხბურთელი დმიტრი სიჩევი ყველასგან მოულოდნელად ოთხთვიანი დისკვალიფიკაციის შემდეგ საფრანგეთში აღმოჩნდა და საიდუმლოც უცებ გაცხადდა — სიჩევი მარსელის „ოლიმპიკში“ ითამაშებს.**

- იუგოსლავიის ფეხბურთის მეტრის „პარტიზანის“ ცნობილი მთავარი მწვრთნელი ლიუბიშ უმბაკოვიჩი კლუბიდან წავიდა. ქვეყნის ჩემპიონატის მეორე წრიდან (ლიდერი „პარტიზანია“), როგორც ვარაუდობენ გუნდს სათავეში ჩაუდგება ახლო წარსულში გამოჩენილი გერმანელი ფეხბურთელი და ჯერ ნაკლებად ცნობილი მწვრთნელი ლოთარ მათეუსი.

ულიე „ლივერპულიდან“ არ მიდის

ინგლისურმა საფეხბურთო კლუბმა „ლივერპულმა“ უარყო ხმები გუნდიდან მთავარი მწვრთნელის ჟერარ ულიეს შესაძლო დატოვების თაობაზე. ერთი წლის წინ „ლივერპულის“ თავკაცმა გულის ოპერაცია გადაიტანა, თუმცა ამ ცოტა ხნის წინ, ერთ-ერთი მატჩის დროს, ულიემ კვლავ იგრძნო ტკივილი გულმკერდის არეში.

ინგლისური პრესა უკვე წერდა იმის შესახებ, რომ ულიეს შესაძლოა, ავადმყოფობის გამო, უარი ეთქვა „ლივერპულთან“ მუშაობაზე, მაგრამ გუშინ კლუბის პრეს-ატაშემ იან კოტონმა ასეთ ჭორებს ბოლო მოუღო, მან განაცხადა: „ულიეს გუნდთან კონტრაქტი 2005 წლამდე აქვს დადებული. ჩვენ არანაირი საფუძველი არა გვაქვს იმისა, რომ ის წავიდეს“.

ნბა

„ლეიკერსის" ძნელი გამარჯვება

ტორონტო – ლეიკერსი

ნბა-ს რეგულარული ჩემპიონატის მორიგ ტურში „ლოს-ანჯელეს ლეიკერსმა" კობი ბრაიანტისა და შაკილ ო'ნილის დიდებული თამაშის წყალობით ხელიდან გამოგლიჯა გამარჯვება „ტორონტოს" — 109:107. ბრაიანტმაც და შაკილ ო'ნილმაც 31-31 ქულა შესძინეს თავის გუნდს. გარდა ამისა, შაკილმა 15-ჯერ მოხსნა ბურთი ფარიდან.

სხვა შეხვედრები ასე დასრულდა: „მემფისი" — „იუტა" 74:103, „ნიუ იორკი" — „მაიამი" 84:92, „საკრამენტო" — „გოლდენ სტეიტი" 103:88.

მიხაელ შუმახერი - წლის სპორტსმენი

„ფორმულა 1"-ის გუნდ „ფერარის" პილოტი მიხაელ შუმახერი ევროკავშირის წევრი ქვეყნების ჟურნალისტებმა წლის საუკეთესო სპორტსმენად ცნეს. შუმახერმა, რომელმაც წელს მეხუთედ მოიგო მსოფლიო ჩემპიონატი, გამოკითხვის შედეგად მიღებული ქულათა რაოდენობით გადაუსწრო ნორვეგიელ ოლე ვინარ ბიორდალენს. „წლის საუკეთესო სპორტსმენი ქალის" ტიტული მიენიჭა იანიც კოსტელიჩს.

რევანში... 12 წლის შემდეგ

მსოფლიო ჭადრაკის სამყაროში, მეოცე საუკუნის „მთავარ მატჩად", რა თქმა უნდა, 80-იან წლებში ანატოლი კარპოვსა და გარი კასპაროვს შორის გამართული პაექრობა ითვლება. მას შემდეგ, რაც ანატოლი კარპოვმა მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული გარი კასპაროვს დაუთმო, ბევრმა წყალმა ჩაიარა და ეს მოჭადრაკეები 12 წელია, რაც ერთმანეთს მატჩში არ შეხვედრიან. ეს სიამოვნება ჭადრაკის მოყვარულებმა ახლა კვლავ განიცადეს. ხანგრძლივი შესვენების შემდეგ კასპაროვი და კარპოვი კვლავ წარდგნენ ერთმანეთის პირისპირ, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ორივე მათგანი მსოფლიოს ექსჩემპიონია, ხოლო ამჟამინდელი მატჩის რეგლამენტი მცირე იყო: თითოეულისთვის მოსაფიქრებლად 25 წუთი და დამატებით 10 წამი ყოველ სვლაზე.

სულ ოთხი პარტია უნდა ეთამაშათ. პირველ პარტიაში კარპოვი შავი ფიგურებით თამაშობდა და გაიმარჯვა. მეორე პარტია ასევე შავი ფიგურებით მოიგო კასპაროვმა. მატჩის ბედი მესამე პარტიამ გადაწყვიტა, მსოფლიოს მეთორმეტე ჩემპიონმა ისეთ ბრწყინვალე სტილში დაამარცხა გარი კასპაროვი, რომ ეს უკანასკნელი ისე გაოცდა, მეოთხე პარტიაში თავგამოდებულ ბრძოლას თავი აარიდა და ყაიმს დასჯერდა. ეს კასპაროვმა პრესკონფერენციაზეც დაადასტურა: „ვერ მოვდივარ გონს, ახლაც მიკვირს, როგორ მოიგო ანატოლი კარპოვმა მესამე პარტია", — განაცხადა რეიტინგის მიხედვით მსოფლიოს ნომერ პირველმა მოჭადრაკემ.

ამრიგად, მატჩი კარპოვის სასარგებლოდ დასრულდა 2,5: 1,5, თუმცა, საპრიზო ფონდიდან, რომელიც 250 ათას დოლარს შეადგენდა, კარპოვს მხოლოდ მეხუთედი ერგო. თანხის განაწილების საკითხი წინასწარვე იყო გადაწყვეტილი რეიტინგის მიხედვით.

პოპულარობით ჩოგბურთი პრემიერ-მინისტრსაც გაუსწრო

ტაილანდელი ჩოგბურთელი პარადორნ შრიჩაპხანი თავის ქვეყანაში წლის ყველაზე პოპულარულ ადამიანად აღიარეს. გამოკითხვის შედეგებით მან ტაილანდის პრემიერ-მინისტრს ტაქსინ შინავატრესაც გადაუსწრო.

მენსელი „ფორმულა 1"-ში ბრუნდება

მსოფლიოს 1992 წლის ჩემპიონი, ავტოპილოტი ნაიჯელ მენსელი (სურათზე) აპირებს „ფორმულა"-1-ში დაბრუნებას, ოღონდ ერთ-ერთი კლუბის კონსულტანტის რანგში.

შეგახსენებთ, რომ მენსელმა, რომელიც ახლა 49 წლისაა, თავის კარიერაში „ფორმულა-1"-ის 185 „გრან-პრიში" იასპარეზა, რომელთაგან 31 ეტაპი მოიგო.

მნიშვნელოვანი სპორტული გადაცემები



24 დეკემბერი, სამშაბათი

საქართველოს ტელევიზია. ევრიკა. მსოფლიო სპორტი (20.00), *მე-9 არხი.* მსოფლიო რაგბი (12.00), *НТВ плюс футбол.* განვილილი კვირის ჰიტ-პარადი (13.15, 15,40). „ფეხბურთის არდადეგების დღეებში". გერმანიის ჩემპიონატი, „ბორუსია" – „ჰერტა", ჩემპიონთა ლიგა. „ვალენსია" – „ლივერპული" (23.40). „ფუტბოლ მუნდიალი" (21.05), ინგლისის ჩემპიონატის მატჩების მიმოხილვა (21.35), ესპანეთის ჩემპიონატის მატჩების მიმოხილვა (22.45), განვლილი კვირის ჰიტ-პარადი. მინიფეხბურთი. რუსეთის თასი (1.25). *НТВ плюс спорт.* ფარიკაობა. „მოსკოვის ხმალი" (17.45), ძიუდო-ჯუკუკუდო (19.15). ***EUROSPORT.*** მძლეოსნობა. ტურნირი გრან-პრის სერიით (13.30), ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის კლასიკა. უეფა (16.30), ფიგურული ციგურაობა. მსოფლიო ჩემპიონატი (2.00).

25 დეკემბერი, ოთხშაბათი

საქართველოს ტელევიზია. ევრიკა. მსოფლიო სპორტი (22.30), *НТВ плюс футбол.* „ფეხბურთის არდადეგების დღეებში". გერმანიის ჩემპიონატი. „ბორუსია" – „ჰერტა" (13.15), ესპანეთის ჩემპიონატის მატჩების მიმოხილვა (15.00), „ფეხბურთის არდადეგების დღეებში". ჩემპიონთა ლიგა. „ვალენსია" – ლივერპული (16.00). ინგლისის ჩემპიონატის მატჩების მიმოხილვა (17.45), „ფეხბურთის არდადეგების დღეებში". ესპანეთის ჩემპიონატი: „ბარსელონა" – „ატლეტიკო" (19.20), იტალიის ჩემპიონატის მატჩების მიმოხილვა (21.35), „ფეხბურთის არდადეგების დღეებში" ჩემპიონთა ლიგა. „რომა" – „რეალი" (22.50), მინიფეხბურთი. რუსეთის თასი (0.50), *НТВ плюс спорт.* საჭადრაკო მიმოხილვა (15.40), ფარიკაობა, „მოსკოვის ხმალი" (17.15), ძიუდო (21.00), კიოკუშინკაი-კარატე (22.55), ***EUROSPORT.*** ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატების კლასიკა (15.30), ჩემპიონთა ლიგის კლასიკა. უეფა (16.30, 17.30, 0.00, 1.00), ამხანაგური მატჩი. შუმახერი და მისი მეგობრები (21.00), შობის დღესასწაული ჩემპიონთა ლიგაში. უეფა (23.00).

26 დეკემბერი, ხუთშაბათი

საქართველოს ტელევიზია. I არხი. ჩვენი ფეხბურთი (22.25). *ევრიკა.* მსოფლიო სპორტი (11.20), *НТВ плюс футбол.* „ფეხბურთის არდადეგების დღეებში". ესპანეთის ჩემპიონატი. „ბარსელონა" – „ატლეტიკო" (13.15), იტალიის ჩემპიონატის მატჩების მიმოხილვა (15.30), „ფეხბურთის არდადეგების დღეებში". ჩემპიონთა ლიგა, „რომა" – „რეალი" (16.40), „ფუტბოლ მუნდიალი" (18.20), „ფეხბურთის არდადეგების დღეებში". იტალიის ჩემპიონატი. „მუდენა" – „მილანი" (19.25), ესპანეთის ჩემპიონატის მატჩების მიმოხილვა (21.05). „ფეხბურთის არდადეგების დღეებში". ჩემპიონთა ლიგა. კიევის „დინამო" – „ნიუკასლი" (23.30). მინიფეხბურთი. რუსეთის თასი (1.15), *НТВ плюс спорт.* ძიუდო (12.45), კიოკუშინკაი-კარატე (14.55), ფიგურული ციგურაობა. რუსეთის ჩემპიონატი (16.00, 18.30, 20.30), ნბა-ს საკალათბურთო მიმოხილვა (21.30), ***EUROSPORT.*** ძალოსნობა. მსოფლიო ჩემპიონატი (13.30), ფეხბურთი: ევროპის ჩემპიონატების კლასიკა (15.30), ჩემპიონთა ლიგის კლასიკა (16.30, 17.30), ზამთრის სპორტის სახეობები. მსოფლიოს თასი (18.30, 21.30), სპორტული სამეჯლისო ცეკვები. გერმანიის ღია პირველობა (20.00), კრივი. 2002-K-1. გრან-პრი (0.00), სუმოს დიდი ტურნირი (3.00).

ლიუისი კლიჩკოს აპრილშივე შეხვდება

ცნობილი გახდა, რომ ლენოქს ლიუსმა ხელი მოაწერა კონტრაქტს ვიტალი კლიჩკოსთან მომავალი ბრძოლის თაობაზე. შეხვედრა შედგება 2003 წლის 12 ან 19 აპრილს, ამერიკის შეერთებულ შტატებში.

საქართველოს სპორტის წყალთა სახეობების ეროვნული ფედერაცია და საწყლოსნო კომპლექსი „ლაგუნა-ვერე" ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ქართული სპორტის ღვაწლმოსილი მუშაკი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, ფოთის სპორტკომიტეტის თავმჯდომარე,

ოთარ ხომერიკი

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის სამეგრელო ზემო-სვანეთის რეგიონული ორგანიზაცია ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ამავე ორგანიზაციის აქტიური წევრის, ფოთის სპორტკომიტეტის თავმჯდომარის

ოთარ ხომერიკის

გარდაცვალების გამო და უსამძიმრებს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის 1960 წლის გამოშვების თანაკურსელები დიდი მწუხარებით იუწყებიან

ოთარ ხომერიკის

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

კროსვორდი № 100



თარაზულად: 6-7 ბრინჯაოს ორი ოლიმპიური მედლის მფლობელი მძლეოსანი ქალი, 8. მძლეოსანი, ქართველი ქალი, სეულის ბრინჯაოს პრიზიორი, 12. სუფთა გამარჯვება ძიუდოში. 14. მიუნხენის ოლიმპიური ჩემპიონი კალათბურთში, 17. მიუნხენის ოლიმპიკის ბრინჯაოს პრიზიორი ველოსპორტში, 19. ცურვის სტილი, 24. ქართველი ოლიმპიელი ხუთჭიდელი, 25. მიუნხენის ოლიმპიადის ჩემპიონი კალათბურთში, 29. სპორტული ნიჩბიანი ნავი, 30. სპორტული საბრძოლო იარაღი, 33. მიუნხენის ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორი ფეხბურთში, ქართველი, 34. ჯარიმა ჰოკეიში, 35. ზაფხულის XVII ოლიმპიადის მასპინძელი ქალაქი, 38. ცრუ მოძრაობა, 39. სპორტული არენა, 40. სეულის ოლიმპიადის ჩემპიონი რაპირით ფარიკაობაში, 43. ქართული სპორტული გაზეთი, 44. მიუნხენის და მონრეალის ოლიმპიადების ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში, 46. ბარსელონას და ატლანტას ოლიმპიადების ჩემპიონი ძალოსნობაში, 52. კლასიკური სტილით მოჭიდავე, მელბურნის ოლიმპიადის ჩემპიონი საშუალო წონაში, 53. ტოდოს ოლიმპიადის ჩემპიონი ხმლით ფარიკაობაში, 54. სპორტული შეჯიბრების დასკვნითი ნაწილი, 55. სპორტის სახეობა, 56. კლასიკური სტილით მოჭიდავე, რომის ოლიმპიადის ჩემპიონი მსუბუქ წონაში, 57. სპორტული საბრძოლო იარაღი, 58. ჰელსინკის ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორი კალათბურთში, 59. მოსკოვის ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორი კალათბურთელი, 60. ბარსელონას ოლიმპიადის პრიზიორი ქალი ჩოგბურთში, 61. ბარსელონას ოლიმპიადის ჩემპიონი ძიუდოში, 62. ჭიდაობის დროს გამოყენებული ფანდი.

შვეულად 1. მოსკოვის ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორი ფეხბურთში, 2. მეხიკოს ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორი წყალბურთში, 3. სეულის ოლიმპიადის ჩემპიონი ტყვიით სროლაში ქალთა შორის, 4. მეხიკოს და მიუნხენის ოლიმპიადების ვერცხლის პრიზიორი ძალოსნობაში, 5. ჰელსინკის ოლიმპიადის ჩემპიონი ძალოსნობაში, ქვემსუბუქ წონაში, 6. სატანვარჯიშო იარაღი, 9. მეხიკოს, მიუნხენისა და მონრეალის ოლიმპიადების ჩემპიონი სამხტომში, 10. თავისუფალი სტილით მოჭიდავე, მელბურნის ოლიმპიადის ჩემპიონი უმჩატეს წონაში, 11. საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ყოფილი პრეზიდენტი, 13. ზაფხულის XXII ოლიმპიადის მასპინძელი ქალაქი, 15. მოსკოვის ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორი ფეხბურთში, 16. საჭადრაკო ოლიმპიადებში მრავალგზის გამარჯვებული მოჭადრაკე ქალი, 18. სეულის ოლიმპიადის ბრინჯაოს მედალოსანი ძიუდოში, 20. მელბურნის ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორი თავისუფალ ჭიდაობაში, 21. მელბურნის ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორი წყალბურთში, 22. თავისუფალი სტილით მოჭიდავე, სეულის ოლიმპიადის ჩემპიონი მძიმე წონაში, 23. თავისუფალი სტილით მოფიდავე, ჰელსინკის ოლიმპიადის ჩემპიონაი მძიმე წონაში, 26. სეულის ოლიმპიადის ჩემპიონი ფეხბურთში, 27. მონრეალის ოლიმპიადის ვერცხლის მედალოსანი ძიუდოში, 28. მიუნხენის ოლიმპიადის ჩემპიონი ძიუდოში, 31. კლასიკური სტილით მოჭიდავე, მეხიკოს ოლიმპიადის ჩემპიონი ქვემსუბუქ წონაში, 32. მძლეოსნური სატყორცნი იარაღი, 36. რომის ოლიმპიადის ჩემპიონი სიმაღლეზე ხტომაში, 37. რომის ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორი კალათბურთში, 38. ბარსელონას ოლიმპიადის ბრინჯაოს მედლის მფლობელი კრივში, 41. თავისუფალი სტილით მოჭიდავე, ჰელსინკის ოლიმპიადის ჩემპიონი საშუალო წონაში, 42. ტოკიოს ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორი ტყვიით სროლაში, 45. მონრეალის ოლიმპიური ჩემპიონი ხელბურთში, 47. მოსკოვის ოლიმპიადის ჩემპიონი მშვილდოსნობაში ქალთა შორის, 48. გრძელ დისტანციებზე მორბენალი, 49. ტოკიოს ოლიმპიადის ჩემპიონი ფრენბურთში, 50. მოსკოვის ოლიმპიადის ჩემპიონი ძიუდოში, 51. ზაფხულის XX ოლიმპიადის მასპინძელი ქალაქი.

კროსვორდი №99-ის პასუხები:

თარაზულად: 1. ბუბკა, 4. აკრობატი, 8. გურასპაული, 9. „ბარი", 10. „ანჟი", 12. ფოლი, 13. „ბრანი", 15. ურო, 18. გაბელია, 19. იტო, 20. ჩარლტონი.

შვეულად: 1. ბოუ, 2. ბაგირი, 3. ანრი, 5. კაპელო, 6. ბალოტაჩა, 7. „ივერია", 11. გულიტი, 13. ბობანი, 14. იტალია, 16. ოკოჩა, 17. „ოდრა", 18. გუტი.

„თქვენთვის, ერუდიტებო!" (მე-3 გვ.). პასუხები: 1-გ, 2-ა, 3-ბ, 4-გ, 5-ა.

საჭადრაკო ამოცანა

ვ. მელნიჩენკო და ვ.რუდენკო (1 პრიზი, 1977წ)



შამათი 2 სვლაში

წინა ნომრის ამოცანის ამოხსნა:

1. მფd4! მუქარა 2. კc4X; 1. ...კ:c5+ 2 მ:c5X; 1. ...ლd7+ 2. კ:d7X; 1. ...ლ:f6+ 2. ლ:f6X; 1. ...ეe4+ 2. ლ:e4X; 1. ...ეe5 2. ლ:e5X.

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14, 899 55 48 97. ინდექსი 66435 INDEX. ელექტრონული ფოსტა: gazeti_lelo@hotmail.com